


619
1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთავო საზოგადოებრივი მედიის წიგნობა




1967



1917

საზოგადოებრივი
N11 ნოემბერი • 1967





საქართველოს
წიგნების კავშირი
თ. აბრეგვიძის ქ.



მზით აუნთია ზეცა კრიალა,
გაუფანტია მწუხრი ღრუბლების,
იგი ბრინჯაოს ძეგლი კი არა —
რწმენაა ჩვენი თავისუფლების.

ბარლო კალაძე

ლექსიდან „ლენინი თბილისში“.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეკოპე

№ 11 (372) ნოემბერი, 1967 წ.

გამოცემის წელი 45-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხატვრო ჟურნალი

ჩვენ ოქსოვების შენ დავანათის

10369

სწავლაში



შრომაში

დასვენებაში



ოქტომბერი- საბჭოთა შაჯახუნია



საბჭოთა შაჯახუნია

ოქტომბრის მზის ქვეშ

1987 წელი, 7 ნოემბრის დღე... ამ დღეს ნახევარი საუკუნე შეუსრულდა ახალი კაცობრიობის ისტორიას.

განვლილმა ნახევარმა საუკუნემ სინამდვილედ აქცია ათასეული წელთა ოცნება. ჭერ ისევ ორი ათასი წლის წინ აღმართეს განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა რომის გლადიატორებმა. სპარტაკის აჯანყებამ, ვ. ი. ლენინის ხიტყვებით რომ ვთქვათ, ძირფესვიანად შეაჯანჯარა და შეარყია რომის უზარმაზარი იმპერია. იმ დროიდან დაწყებული ოცნებობდა და იბრძოდა ადამიანი მონობის ბორკილების დაღწევად.

მიდიოდნენ საუკუნეები და ამ დიდ ოცნებას ახალთახალი მებრძოლები გამოჰყავდა ბრძოლის ველზე; და აი, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ძველი ოცნება თავისუფლებაზე იქცა სინამდვილედ; პირველად გაიმარჯვა ხალხმა იმიტომ, რომ მას გამარჯვების ნათელი გზა მეცნიერულმა კომუნისმმა უჩვენა, გამარჯვების გზა მარქსმა და ლენინმა გაუკაფეს.

მშრომელი ხალხის ამ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ეწოდება; იგი ყველაზე უდიდესია ყველა დროის რევოლუციათა შორის; იგი პრინციპულად განსხვავდება წარსულის ყველა რევოლუციისაგან, რომლებიც მოასწავებდნენ მშრომელთა ექსპლოატაციის ერთი ფორმის შეცვლას მეორე ფორმით. ოქტომბრის რევოლუცია კი მოასწავებდა ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის ლიკვიდაციას. ეს იყო უდიადესი გარდატეხა, რომელმაც ღრმა ზემოქმედება მოახდინა მსოფლიო ისტორიის მთელ შემდგომ მსვლელობაზე.

დიდმა ოქტომბერმა ხალხს მოუტანა ყველა სიკეთე, რაზედაც მილიონები ოცნებობდნენ; მუშათა კლასი — ქარხნებისა და ფაბრიკების ბატონ-პატრონად აქცია, მშრომელი გლეხები — მიწა გადასცა, იმპერიალისტური ომით გაწამებულ ხალხს სწუროდა მშვიდობა — საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტი იყო დეკრეტი ზავის შესახებ. დიდმა ოქტომბერმა აღკვეთა და გაანადგურა ნაციონალური ჩაგვრის ყოველგვარი გამოვლინება. 1917 წლის 16 ნოემბერს, რევოლუციის მშფოთვარე დღეებში სახალხო კომისართა საბჭომ გამოაქვეყნა „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“, რომელმაც მსოფლიოს გასაგონად აღიარა ხალხთა შორის ძმური, მეგობრული ურთიერთობის პრინციპი, ყველა ხალხის თავისუფალი განვითარება და მათი სრული თანასწორობის უზრუნველბანობა; სოციალისმმა შექმნა ეროვნული კულტურების გაფორმებისა, აყვავებისა და ურთიერთგამადრების მანამდე არნახული პირობები.

განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე ოქტომბრის რევოლუციის საქმემ ყოველმხრივი ისტორიული შემოწმება გაიარა, ცხადყო თავისი უძლეველი ძალა, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების წარუვალი მნიშვნელობა როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ისე მთელი პლანეტის ხალხებისათვის. იგი ცოცხლობს და ზეიმობს, და ამას გამოხატავს სოციალისმის გამარჯვება და სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის მიღწევები, სოციალისმის მსოფლიო სისტემის განვითარება, მუშათა მოძრაობის მძლავრი გაქანება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებანი. მარქსიზმ-ლენინიზმი გახდა მსოფლიოს ასეულ მილიონობით ადამიანის ფიქრთა მპყრობელი, კომუნისტური მოძრაობა თანამედროვეობის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად გადაიქცა.

დღევანდელი ზემოთს დღეს, ჩვენი ქვეყნის მშრომელები, თვალს ავლებენ რა განვლილ ნახევარ საუკუნეს, ამაყობენ სახელოვანი წარმატებებით და მიღწევებით, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ ლენინის დიადი პარტიის მეთაურობით. საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული არიან უდიდესი მადლიერებითა და უსაზღვრო სიყვარულით კომუნისტური პარტიისადმი, მარქს-ენგელისა და სპენსერის დანადგარების, გენიალური მოაზროვნის, უდრეკი რევოლუციონერის, სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინისადმი.

კომუნისმის ძალები აურაცხელია, მის მხარეზეა ცხოვრების სიმართლე. მხოლოდ კომუნისმს შეუძლია გადაჭრავს საზოგადოებრივი განვითარების ძირფესვი პრობლემები, თხნას კაცობრიობა ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან. შიშვლითა და სიდატაკისაგან, დაამკვიდროს ჩვენს პლანეტაზე დემოკრატია, მშვიდობა, მეგობრობა ხალხთა შორის, ადამიანის შესაფერი ცხოვრება.

მომავალი წლები ახალ გამარჯვებებს მოუტანენ მარქსის, ენგელის, ლენინის მოძღვრებას, კომუნისმის საქმეს.

ჩემი ქვეყანა დღეს სულ სხვა არის!... ცხოვრებას მისცეს ფუტე მაგარი! ოქტომბრის მზის ქვეშ ხალხი ზეიმობს ახალ ჩანგურით, ახალ ნაღრით; გულით შევხარი ამ სიდადეს უკვე მოხუცი, თმაში ჭაღარით.

ახ, ნეტავ სად ხარ, ახალგაზრდობა, გულმხიარულო ხალხით, დონით, უფრო ხმამაღლა სიმღერა მეთქვა, ვინც აყვავა ქვეყანა შრომით. ანდერძს გიტოვებთ ჩემს შვილიშვილებს, გახსოვდეთ მარად მომავალ დროშიც: მკვიდრად იყავით ოქტომბრის მზის ქვეშ და წინ ისწრაფეთ ლენინის დროში.


წინ დამეხატა ლენინი

ვერ გვძლიონ დაუძლეველნი, ვამაყობთ შრომით, ჭაფითა, ჩვენი ქვეყანა აღმდგარა, უწინ დაბმული ჭაჭვითა. ხალხით კაცი ვუკაცობს, ნატვრაც ჩვენია ხვალისა! მტერი ჩვენ მტრულად შევმუსრეთ, მტერი ამტები დავისა!


ახლა რომ ყველა ზეიმობს, უცნაურ გამკრა ეღვამა: წინ დამეხატა ლენინი, იმის სახელის ღმერთმა.

ვმღერი: ეგ გული ზღვა არის, ტალღა სცემს ხაით, სად არა?! არ დაგრა შეუმჩნეველი ნავი სულ მცირე, პატარა! შენი კანონით გვას ვიკვლევთ, — კანონი მწებერ ანთია! და შენი სიბრძნის ნათელით უღრანი გავვიკაფია! დღეს რომ ზეიმობს ქვეყანა, ეს შენი ნამაგია!.. ქედს ვუხრით ლენინს მადლობით და მის ფოლადას ვვარდიას.





საქართველო ახალგაზრდა



ბათუმი. თვრამეტსართულიანი დანადგარი.

ინდუსტრიული საქართველო — ეს დიდი და ამოუწურავი თემაა. ესაა ახალი საქართველოს მატთანე, დაწერილი ფოლადის სტრიქონებით. ესაა ისტორიული ნახტომი, რომელიც უმოკლეს მანძილზე გააკეთა ჩვენმა ქვეყანამ.

ზეიმის წინა დღეებში ჩვენ ყველაზე ადრე რუსთავის გიგანტს ვეწვიეთ. მასზე უკვე დაწერილია წიგნები, მის წარმოქმნასა და ზრდას მიეძღვნა კინოფილმები, მაგრამ აქ ყოველ დღეს ახალი რამ მოაქვს და ამიტომ აქაური ოსტატების ცხოვრება მუდამ საინტერესოა, მუდამ ამადღვლებელი. აქ მთელი ძალით იგრძნობა ახალი საქართველოს მაჯისცემა.

ომი ჭერ დამთავრებული არ იყო, როცა აქ პირველი ბარი დაპირეს ქალაქის ასაშენებლად. საქართველოს ორმოცდაათმა რაიონმა სამი ათასი ყველაზე დარჩეული ჭაბუჯი გაგზავნა დონბასის, დნეპრისპირეთის, ქერჩისა და ურალის მეტალურგიულ ქარხნებში, სადაც ისინი ფოლადის ყველა საიდუმლოებას დაეუფლნენ. ახლა კი უკრაინელი მეტალურგები თვითონ ჰგზავნიან რუსთავში თავიანთ ოსტატებს, რათა ქართველი მეგობრების გამოცდილება გაიზიარონ. ასეა ჩვენს სამშობლოში — ჩვენ ყველანი ერთი-მეორისაგან უსწავლობთ.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქრო... აქ საზეიმო განწყობილებაა. მეტალურგები ღიმილით ართმევენ ერთმანეთს ხელს, ეხვევიან, დიდი ხნის ნანატრ გამარჯვებას ულოცავენ.

გამარჯვება კი მართლაც რომ დიდი და სასიხარულო: ადრე რუსთაველ მეფოლადეებს თვითიული ტონა ფოლადის გამოღობა, მის ღირებულებასთან შედარებით, ხუთჯერ და ექვსჯერ მეტი უჭდებოდათ.

როდემდის უნდა გაგრძელებულიყო ასე? რუსთაველებმა გადაწყვიტეს, რადაც უნდა დაჯდომოდით, უმოკლეს ხანში რენტაბელური გაეხადათ თავიან-

საიუბილეო ვახტზე.



თი საწარმო. მათ პირობა მისცეს პარტიას, რომ სწრაფად მოახდენდნენ მთელი თავიანთი ძალებისა და რეზერვების მობილიზებას, გაორკეცებული ენერგიით იზრომებდნენ და საიუბილეო 1967 წელს მომგებიანს გახდიდნენ ქარხანას.

ხანმოკლე დროის მანძილზე სრული მეტალურგიული ციკლის ისე აწყობა, რომ სრულიად უარი ეთქვათ დოტაციაზე და სახელმწიფოსათვის მოგება მიეცათ — მართლაც რომ გაბედული ვალდებულება იყო, მაგრამ საქმის სიყვარულით და მონდომებით ყველაფრის გაკეთება შეიძლებოდა და რუსთაველმა სახელოვანმა მეფოლადეებმა აკი გააკეთეს კიდევ!

რუსთაველებმა საბჭოთა კავშირის მეტალურგიული ქარხნების პრაქტიკაში პირველებმა შემოიღეს ქვენახშირის კაშმის გამოხვა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ეკონომია. ათვისებული იქნა ტექნიკური სიხალენი, დაინერგა ჩქაროსნული დნობა, უფრო აწყობილად დააწყეს მუშაობა ბრძმედებმა, მინიმუმამდე შეამცირეს ლუმენტების მოცდენა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა უკვე რენტაბელურია, იგი მილიონობით მოგებას იძლევა. ასეთი პატაკით შეხვდნენ რუსთაველი მეფოლადეები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან იუბილეს. მეფოლადეები კვლავ საზეიმო ვახტზე დგანან. უწყვეტ ნაკადად მოედინება ქართული ფოლადი, თუჯი და ნავლინი, მოდის რუსთაველთა ხელით ნაწროთბი ქართული მარკის პროდუქცია, რომელიც ხალხის კეთილდღეობის, სიკეთისა და მშვიდობის საქმეს ემსახურება.

* * *

მატარებლით მიმავალი მგზავრი კასთან მიახლოვებას მაშინ იგებს, ცაში ევამს რომ დინახავს, მაგრამ მარტო ცემენტის ქარხნით როდი ამყოფს ეს პატარა ქალაქი. ამას გარდა, აქ ამოქმედდა ახალი დიდი ქარხანა, რომელიც ერთადერთია არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელს ამიერკავკასიაშიც. ეს არის ელექტროაპარატურის ქარხანა. იგი უშვებს დისტანციურ მართვის ელექტროაპარატებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქსა და მსოფლიოს ოცდაათორმეტ ქვეყანაში იგზავნება.

კასში შუადღისას ჩავედით. ელექტროაპარატურის ქარხანაში, შესვენების საათი იყო და მის ფართო ეზოში ჭაბუქები და ქალიშვილები გამოფენილიყვნენ. ქარხანა კი არა, რომელიმე სასწავლებელი ეგონებოდა კაცს. ამ

ხუთასკაციანი კოლექტივის საშუალო ასაკიც ძალიან ახალგაზრდაა — ოც-დაერთი წელი.

ძალზე საფულისხმოა, რომ ამ ქარხნის მუშების ორ მესამედზე მეტს კასპის საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული. თვითონ დირექტორი გურამ გზირიშვილიც, მთავარი ინჟინერი ჯემალ მერაბიშვილიც, მისი მოადგილე ვიტალი ალიბეგაშვილიც ამ სკოლიდან წავიდნენ უმაღლეს სასწავლებელში. ამიტომ აქ ყველა ბავშვობიდანვე იცნობს ერთმანეთს და როგორც ერთი ოჯახის წევრები, ისე უდგანან მხარში ერთი-მეორეს.

დირექტორმა ქარხნის დასათვალისწინებლად წაგვიყვანა. ჩვენ აქ ხუთი-ოც წლის წინ ვიყავით, მაგრამ ახლა ვეღარ ვიცანით აქაურთა. ქარხნის ეზოში საამქროების ახლად აგებული ფართო, ნათელი კორპუსები ამართუნლან. შიგნით, რკინის ვეება კარადებთან ახალგაზრდები ფუსფუსებენ, ეს ბრავალბლოკებიანი პანელების საამქროა; სწორედ ამ საამქროში მუშაობს ვახტანგ მარქარაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადა. ბრიგადაში, ვახტანგის გარდა, ცხრანი არიან: ჭაბუკები და ქალიშვილები.

ღიღ საქმეს აკეთებს ეს ქარხანა. თუ ამ შვიდიოდე წლის წინათ 1000 ცალი ელექტროაპარატი გამოუშვა, წელს ოთხი სხვადასხვა სახეობის 25 ათას აპარატს გამოუშვებს. ამ საიუბილეო დღეებში ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივმა გადაწყვიტა წლის ბოლოსათვის სამშობლოს მისცეს 300 ათასი მანეთის ზეგემითი პროდუქტია.

საამქროებიდან რომ გამოვედით, ჩვენთან მზეზე გარუჯულმა ქოჩორა ბიჭმა მოიბრინა.

— ბატონო გურამ, — მიმართა დირექტორს, — იქნებ ბუღლოზერი მოგვაშველოთ, მაშინ სამ დღეში ყველაფერს მოვრჩები!

ბიჭი ქშინავდა, აღმური ასდიოდა სახეზე.

— აღარ მომასვენეს, სანამ სპორტულ მოედნის გაკეთებაზე არ დამიყოლიეს, — გაიციინა გურამმა, — ეკუთვნით კიდევ, დამისახურეს, საქმეს მუდამ გატაცებით ეჭიდებიან, — და ვიტალის მიუბრუნდა, — დარეკე, სასწრაფოდ ბუღლოზერი ან გრეიდერი გამოგვიგზავნონ!

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ასაკით გაცილებით უფროსია რუსთავეს ქარხანაზე. ის პირველი ხუთწლედის პირშეა.

ქარხანაში შუალამისას მოგვიხდა მისვლა. პირველი საამქროს მეექვსე ღუმელთან ბრიგადირი ზურაბ ბუცხრიკიძე იდგა და შუბლზე ხელმოჩრდილული შესცქეროდა ამბობრებულ ცეცხლს.

კმაყოფილი იყო ზურაბი. მარჯვედ იშრომეს ბიჭებმა. კვარტალის ბოლო იყო, თანაც ობილეს ახლოვდებოდა და ორმაგი ენერჯის გამოჩენა მართებდა კომუნისტური შრომის ბრიგადას. და აი მათმა შრომამ კარგი ნაყოფი მოიტანა.

ზურაბი ღუმელს ვერ შორდება. ამწეების გამაყრუებელ გრუნუნში მკაფიოდ ისმის მისი ხმა; იგი მითითებებს აძლევს ბრიგადის წევრებს. მერე, როცა დარწმუნდა, რომ ღუმელში ყველაფერი რიგზე იყო, ჩვენთან მოვიდა და ბოდიში მოიხადა — რა ვქნა, ღუმელს თვალის დევნება უყვარს, უამისოდ არ შეიძლება.

ცვლა დამთავრდა და ჩვენ ზურაბთან ერთად ქარხნიდან გამოვედით. ახლა კი მოიცალა ბრიგადირმა სალაპარაკოდ. ოცდაოთხი წელიწადია იგი ამ ღუმელთან ტრიალებს, აქვე — ღუმელების სამართავ პულტზე მუშაობს მისი მუშულე, აქვეა გურამის უმცროსი ძმა — მერაბიც.


— ალბათ შვილებიც თქვენს კვალს მიჰყვებიან, — ვეკითხებით ზურაბს.

— ჰო, რა ვიცი, ჩემი თენგიზი ჯერ მესამე კლასშია და ყოველდღე მეხვეწება ქარხანაში წამიყვანეო...

ზურაბი საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატია; ხვალ რაილმასკომში უნდა მივიდეს, იქაც ათასი საქმე აქვს: ჩვენს სამშობლოში ქვეყანას მართავს ის, ვინც მას აშენებს; ასეა ზურაბიც.

დიდხანს ვილაპარაკეთ ქარხანაზე, მის ავ-კარგზე, ბრიგადის საიუბილეო გემგებზე; ზესტაფონელები მართლაც ღირსეულად ხვდებიან სახელოვან ზეიმს — დიადი ოქტომბრის ობილეს.

კასპი. მოწინავე ახალგაზრდა მუშები.



ქუთაისის საავტომობილო ქარხანა... ტექნოლოგიური განყოფილების ცენტრალური საკონსტრუქტორო ბიურო. ჩვენ ამ ბიუროს უფროსს ვალერი ოცხელს ვესაუბრებთ.

ვალერი გულღია ჭაბუკია, დაუზარებლად ლაპარაკობს თავის საყვარელ საქმეზე. მან სამი წლის წინ დაამთავრა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და იმ წელსვე რიგით კონსტრუქტორად დაიწყო მუშაობა, ამჟამად კი მთელ საკონსტრუქტორო ბიუროს განაგებს.

მარჯვედ უძღვება ჭაბუკი ამ რთულ საქმეს. ვალერი ოცხელი ყველან არის, მთავარ საკონსტრუქტორში, საიარალო საამქროში; იგი კვალდაკვალ დაჰყვება თავის დამუშავებულ ნახაზს, და რა თქმა უნდა, დღავს, დღავს ისე, როგორც ყველა შემოქმედი თავის ქმნილების განსჯის მოლოდინში. ძნელია ეს ლოდინი და თანაც სასიხარულო, ვინ მოსთვლის მერამდენეჯერ ამოწმებს ვალერი უკვე დამუშავებულ ნახაზებს, სადმე შეცდომა არ იყოსო. გვიანობამდე დგას სახაზავი დაფების ტყეში და როცა ამდენი შრომის შემდეგ მორიგი დეტალის ტვიფრი წარმოებას ჩაბარდება, კონსტრუქტორი, თითქმის ზურგიდან უშველებელი ტვირთი მოიხსნაო, წელგამართული, გაღიმებული, გალაღებული გამოდის ბიუროდან.

ჩვენც სწორედ ასეთ დროს შევხვდით ვალერის. საწარმოს უზარმაზარ რკინის ჰიშკარში ვიდექით. ჰიშკრიდან უძარო სატირით მანქანა გამოვიდა. იგი კონფეიერიდან ახლად ჩამოსული იყო — ახლა აბარებდა გამოცდას. ვალერიმ თვალი გააყალბა მანქანას და ალბათ გონებაში კვლავ გაცოცხლდა კაბინის დასამზადებელი ტვიფრის ნახაზები, რომლის შესაქმნელადაც არა ერთი ღამე გაუთევია.

და აი, მისი ფიქრი და ოცნება სინამდვილედ იყო ქცეული.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნის ტერიტორიაზე ვართ. მეგზურობას პარტორგანიზაციის მდივანი სოსო კუტუბიძე გვიწევს.

დადიხარ ქარხნის უზარმაზარ ეზოში (მას დაახლოებით ორმოც ჰექტრამდე ფართობი უჭირავს) და აღამიანებს კანტიკუნტად ხედავ: თვალში გხვდება ათასნაირად დაგრეხილი მილები, ვერ გაიგებ, სად იწყებიან და სად მთავრდებიან ეს მილები. აგერ კიდევ ათასნაირი დანადგარები, კომპიები; აღამიანები კი არა და არ ჩანან. ნავთობის გადამამუშავების მთელი პროცესი დახურულ დანადგარებში და მილებში მიმდინარეობს.

და აი, ბოლოს დავინახეთ ისინი, ვინც ამ ურთულეს მანქანებს განაგებს. რეგენერაციის ბლოკის სამართავ პულტთან ორი კაცი იდგა — უფროსი ოპერატორები გურამ მიქაძე და ვლადიმერ აბურჯანია. ისინი დინჯად ადევნებენ თვალყურს ხელსაწყოებს.

სამართავ პულტთან სიჩუმეა, გარეთ კი გამაყრუებელი ხმაურია, ლითონის მილების კვლეებს თავგამეტებით აწყდება ყოველისშემძლე ორთქლი და ამ ხმაურში, ამ ორომტრიალში ბაჭოდან თუ კრასნოდარიდან შემოსული ნავთობი იქცევა ბენზინად, ნავთად, ზეთად და ათასნაირი ნავთობპროდუქტებად. მერე ამ პროდუქტებით ივსება უშველებელი ცისტერნები და მიემართებიან ისინი ზოგი ახლოს, ზოგი კი შორს, მსოფლიოს გზებზე.

აქ აღამიანები თითქმის არ ლაპარაკობენ, ყველამ ზუსტად იცის რა უნდა გააკეთოს, ყველა ყურადღებდა ქცეულა, ისინი თავიანთ ნებას კარნახობენ ცეცხლს, გაზს, წნევას, ტემპერატურას, ყველაფერს, რაც ნავთობის გადამამუშავების საქმეს ემსახურება.

ქარხანაში, მტვირთავებს გარდა, თითქმის ყველა მუშას ოპერატორი ჰქვია. უფროსი ოპერატორი გრიგოლ ჯიქიძე ხანში შესული კაცია, ოცდახუთი წელია იგი აქ მუშაობს. აქ არიან უფრო ძველი მუშებიც, რომელთაც გუშინდელ დღესაკით ახსოვთ 1929 წელი, როცა საზეიმოდ გაიხსნა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა.

გრიგოლ ჯიქიძეს მზერა მაღლივი დანადგარისაკენ გაუბრბის, რომელსაც ტექნიკის ენაზე ზეთების აღსორბეტული გაწმენდის დანადგარი ჰქვია. ეს დანადგარი თვრამეტსართულიანია, რომელიც ბათუმის თითქმის ყველა კუთხიდან ჩანს. დანადგარი ჯერ არ ამუშავებულა. ახლახან დაამთავრეს მისი მონტაჟი. მისი ამუშავების შემდეგ ძირფესვიანად შეიცვლება ზეთების გაწმენდის ტექნოლოგია და, რაც მთავარია, განთავისუფლდება ექვსი ათასამდე ტონა გოგირდმევა.

ამაყად აჭრილა ბათუმის ცაში თვრამეტსართულიანი დანადგარი.

საქართველოს მიწა-წყალი დაქვლილია მსხვილი სამრეწველო ცენტრებით, ფაბრიკა-ქარხნებით, ელექტროსადგურებითა და შახტებით; თხუთმეტ საუკუნეზე მეტი ხნის ჩვენს სახელოვან დედაქალაქს, რომელიც საბჭოთა ეპოქაში მსხვილ სამრეწველო ცენტრად იქცა, მხარში ამოუღდნენ ახალი ქალაქები და დაბები, რომელთა პროდუქტია უკვე კარგად არის ცნობილი მთელ მსოფლიოში.

ბუმბურაზი ნაბიჯებით მიდის წინ ჩვენი ინდუსტრია, ჩვენი ქვეყნის წინსვლის და ახალი გამარჯვებების ურყევი საფუძველი.



ქართველი
წიგნიერები



თბილისი. ელმავალშენებლები.

შეძრები ათი ათასი მეტრის სიმაღლეზე

რადიომ გამოაცხადა, რომ იწყებოდა თვითმფრინავში ჩასხდომა, მეც ჩემი ადგილი მოვნახე. რეაქტიული ლაინერი სულ მალე მოსწყდა მიწას და აიჭრა ცაში.

ბულგარეთში მივემგზავრებით. ვწივარ ჩემთვის და ფიქრი ფიქრს მოსდევს... ხან რა გამახსენდება, ხან რა. უფროსებისგან ხშირად გამიგონია — ბავშვობაში ძალზე მოუსვენარი და ხიფათიანი იყავიო. მართლაც ასე იყო. ისეთი უცნაური ოცნებები მქონდა, გახსენებისაც მრცხვენია, მაშინ კი ჩემი თავი გმირად მიმჩნადა.

პაპა და ბებია მწრდიდნენ. რა თქმა უნდა, მწრუნველობას და სიყვარულს არ მაკლებდნენ, მაგრამ ერთი ეს იყო, ხშირად დავფუხსლტებოდი ხოლმე მათ ხელიდან. სულ ერთთავად ქუჩა-ქუჩა დავფხტებოდი. ჩემი ცელქობით შებზრებული უფროსები მეუბნებოდნენ: შენგან კაცი არ დადგებაო. იქნებ მათი წინასწარმეტყველება გამართლებულიყო, რომ ჩემს ცხოვრებაში ერთ საოცარ ამბავს არ მოეხდინა გარდატეხა.

1948 წელი იყო. ჩვენს უბანში ხმა გავარდა: ჩვენი სკოლის გვერდით, პოსპიტალში ათი წლის პარტიზანი ბიჭი მოიყვანესო. მალე გავიცანით ეს

ლეგენდარული ბიჭი, სულ მასთან დავიარებოდი, მოჭადლობულივით შევცქეროდი მის ჭკერდზე გაბრწყინებულ ორდენებს. ამ პატარა ბიჭმა ჩემს ცხოვრებაში რაღაც ახალი გრძნობა გააღვიძა; მალე, შეგობრებთან ერთად, გადავწყვეტე ფრონტზე გავპარულიყავი. გვინდოდა პარტიზანებთან გადავსულიყავით და ამ გმირი ბიჭივით ჩვენც გმირულად გვებრძოდნა, ვცადეთ კიდევ გაპარვა, მაგრამ ორი სადგურიც არ გვქონდა გავლილი, რომ მატარებლიდან ჩამოგვიყვანეს და მილიციის თანხლებით სახლებში დაგვაბრუნეს.

დავრწმუნდი, რომ ფრონტზე წასვლის ოცნება — ამო იყო. მაშინ მე და ჩემმა ამხანაგებმა — ნოდარ ენუქიძემ და შოთა ჯორჯიაშვილმა (ისინი ახლაც ჩემთან ერთად მუშაობენ), გადავწყვიტეთ სატანკო ქარხანაში შევსულიყავით, ტანკები დაგვეშინა და ფრონტზე ჯარისკაცებისთვის გაგვეშინა. ნოდარმა წაგვიყვანა ქარხანაში, იქ მივიღვეს, მაგრამ ერთი რამ შეგვეშალა: ნოდარმა რუსული არ იცოდა და „სტანკობრაიტელნი ზავოდ“ ტანკების მშენებელი ქარხანა ეგონა. ასე დავიწყეთ მუშაობა თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანაში.

თორმეტი წლისა ვიყავი, ქარხანაში რომ მოვხვდი. პირველად ხარატობა მიწვავდა. მიმაბარეს ოსტატს, მაგრამ იგი ერთი ყალბაბანდი კაცი გამოდგა. მალულად ამზადებდა თითბერის ბეჭდებს; ერთხელ, როცა ის საამქროში არ იყო, პირველად ავამუშავე სახარატო დაზგა და მეც ბეჭდების გამოჩარხვას შევუდექი. თვითონვე მომწონდა ჩემი ნახელავი. საქმეში რომ ვიყავი გართული, ვილაც მუშამ მუჭლუგუნი წამკრა, დირექტორი გეძახისო. ავიხედე, დგას დირექტორი შორიახლოს და თითო მანიშნებს აქ მოდიო. როცა მასთან მივირბინე, გაცეკვულმა შემომხედა. მერე ჩარხთან მივიღა, ხან მე შემომხედავდა, ხან ჩარხს, თურმე უკვირდა — ჩარხის ტოლა არ არის და ჩარხზე როგორ მუშაობსო. როცა ხის კოლოფები დანახა, გაეცინა... ვინ შემოგვიშვა საამქროშიო. საამქროს უფროსმა უთხრა — ეგ ჩვენი სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეაო. ნიჭიერი ბიჭი რომ არ იყო, ქარხნიდან დაგიხოვდი, ახლა კი წადი საუნივერსიტეტო საამქროში და იქიდან ფეხი აღარ გამოდგაო. მართლაც და აგერ უკვე ოცდაოთხი წელიწადია ფეხი აღარ გამომიდგამს იქიდან.



ბულგარელები პურ-მარლით შეგვეგებნენ.

პატარაობიდანვე გამოჩევა ხელმძღვანელობის სიყვარული, დაინტერესება; პირველი მადლობა, რომელიც ქარხნის ხელმძღვანელობიდან დავიმსახურე, სრულიად მოულოდნელი იყო. ცამეტი წლისა ვიყავი. ზეინკლის ხელობა უკვე კარგად ვიცოდი. მაშინ საამქროში ქანჩებს აკეთებდნენ. უძნელდებოდათ მისი დამზადება. ლითონის სქელ ფირფიტას ჭერ ბურღავდნენ და შერე ქლიბით ასწორებდნენ. ამას დიდი დრო სჭირდებოდა. უცებ რაღაც ფიქრმა გამკრა, ლითონის ფირფიტები წავიღე მოფარებულ ალაგას, იქ ვერავინ მხედავდა და დამალულად ბურღით კი არა, სატებით ვჭრიდი ლითონს, შერე ქლიბით ვასწორებდი. დღის ბოლოს ორ ნორმაზე მეტი ჩავაბარე. ოსტატი განცდიდა, პირველად ეგონათ სხვებს მოვპარე. როცა ჩამაცივდნენ—თქვი თორემ დაგითხოვთო, ყველაფერი დავწირილებით ვუამბე. იმის შემდეგ ქარხ-

ნის ხელმძღვანელობა ამბობდა, რომ საწინკლო საამქრო შოთა ფირცხალავას მეთოდით მუშაობსო. მე მივიკირდა, ვაითუ დამცინიან-მეთქი, მაგრამ გვიან გავიგე, რომ მართლაც კარგ ჩანაფიქრს წავწყდომოდი.

გუგუნებს თვითმფრინავის მოტორი; ჩემს აწყობილ ჩარხებს თითქმის ნახევარი მსოფლიო აქვთ მოვლილი, მათ შესვლებით ავლანთშიც და ჩიხოსლოვკიაშიც, პაკისტანშიც და პოლონეთშიც, მე კი პირველად მივდივარ საზღვარგარეთ, თვითმფრინავში ჩემს მეზობლად რომ კაცი წის, მეკითხება ვინა ხარო. მეც ვუყვები ჩემს ცხოვრებაზე, მეტი რა საქმე მაქვს, ბულგარეთში ჩასვლამდე კარგად დროა.

აქ ძნელია ჩამოვთვალო ჩემი გამოგონებები, რაციონალიზატორული წინადადებები. თუ არ ვცდები, მგონი 50-ზე მეტი უნდა მქონდეს; 25-ზე მეტი მადლობა მაქვს მიღებული. ნუ გაგიკვირდებათ, თორმეტი ხელობა ვიცი, რაკი ვამბობ ვიცი-მეთქი, ეს იმას ნიშნავს, კარგადაც ვარ დაუფლებული.

საბჭოთა არმიის გაწვევამდე ნემსი და სადგისი ხელშიც არ ამეღო, იქ კი, დღეობის მეთაურმა მადლობა გამომცხადა, როგორც კარგი ფეხსაცმელების მკერავს, კვენხაში ნუ ჩამომართმევთ, სიტყვას მოჰყვა და იმითვე ვამბობ. ვიცი დურგლობაც, ვარ კარგი მზარეულიც.

ბოლო არჩევნებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ამირჩიეს, ამჟამად პარტიის რაიკომის პლენუმის წევრი ვარ. ზოგჯერ დავფიქრებ, გადავხედავ ჩემს განვლილ წლებს; არაფერი აღარ მახსოვს, თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად მიჩვენება, ხანდახან მივიკირს კიდევ, ისეთი

რა გავაკეთე, რომ ასეთ პატივს მცემენ-მეთქი. ალბათ ამიტომ მითხრა ქარხნის დირექტორმა — ხალხი, მთავრობა, პარტია ყველაფერს აღწუნხავს, არაფერი არ დააიწყებდნო. აკი ასეც მოხდა: შარშან სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მომანიჭეს.

თვითმფრინავში სტიუარდესას ხმა გაისმა, აეროდრომზე ვეშვებითო.

ყველგან, ბულგარეთის ქუჩებში და ქარხნებში ჩვენს დედეგაციას ყვავილების თაიგულებითა ხვდებოდნენ. ვერც კი ავიწერთ რა დიდი სიყვარულით დაგვიხვდნენ; ქალაქ სოფიას ჩარხმშენებელ ქარხანაში ერთი დეტალის დამზადების დროს იქაურ მუშას უბრალო რამ გავუსწორე, მაგრამ ჩანს უბრალო რამ არ იყო, რადგან ეს ამბავი ქარხნის მთელ კოლექტივს მოედო; ისე მოეწონათ ჩემი წინადადება, რომ მთხოვეს მეორედაც ჩავსულიყავი მათთან; საერთოდ, ჩვენ იქ რვა დღეს უნდა დავრჩენილიყავით, მაგრამ ხალხის თხოვნით ჩვენმა საქონსულუმ კიდევ ხუთი დღე დაგვიმატა.

ბულგარელი ოსტატებისაგანაც ბევრი საინტერესო რამ ვისწავლე. ქარხანა „სატუმის“ დთავალიერების დროს მომეწონა მათი ერთი ინსტრუმენტი, რომელსაც ოთხი საბურღი ეკეთა და ერთსა და იმავე დროს, ოთხ ობრაცისას ასრულებდა.

ჩვენთან, ქარხანაში კი ერთი ბურღით ვმუშაობთ. გადაწყვეტილი მაქვს ის ინსტრუმენტი თბილისშიც გავაკეთო, ამით ძალიან დიდ დროს მოვიგებთ.

არასოდეს დამავიწყდება ბულგარეთში გატარებული დღეები. ისინი გატაცებით ეშვადებოდნენ, რათა ღირსეულად შეხვედროდნენ დიდ ოქტომბერს, რომელმაც ბორკილი ახსნა შრომის და მშრომელ კაცს თავისუფალი შემოქმედების უფართოების გზა გაუხსნა.

შოთა ფირცხალავა,
სოციალისტური შრომის გმირი.

ანდრო თევზაძე

საოქტომბროდ თქმული

ოქტომბრის შედინო, გმირნო, ვაჟკაცნო, ჩემო საშობლოვ, ოქტომბრის ტოლო, მინდა ამ სიტყვებს, გულწრფელ ვაშასთან, სიმღერის ცეცხლი ამოვაყოლო.

მინდა სიხარულს წინსვლის, განჯაშის, თქვენი მარჯვენის ძალთა მოკრებას, ვუმღერო, რათა პოეტის სხამიც ჩანდეს ცხოვრების ახოპოქრება.

მინდა ქართველი მგონის კალამიც მიწას შეენოდეს სახნის-საკეთად, რომ ლექსი, ფრთებით დაულაღავი, ჰგავდეს კოსმოსში გაპრღლ რაკეტას.

მინდა ფრები ჩვენს მზიან დღეთა, კაცმა რომ გულში ვერ ჩაატია, რთმის ჩქერებით შეგკონო ერთად და მალალი ხმით ვუძღვნა პარტიას.

ჩვენს დიდ პარტიას, რომლის გზას დიადს ბრძოლა, შრომა და გმირობა ბქვია, ვინც აგვაშორა მონობის წყვედიადს, ვისი დროშებზე მზის ირგვლივ ბქრიან.

ვინც ჩვენზე მოსულ მტერს და მუხანათს მახვილი თაფზე გადაამტვრია, არ შედრკა, ქედი არ მოუხარა და წინ გაუძღვა ხალხებს პარტია.

პარტია მე ვარ, პარტია შენ ხარ, ის არის, ჩვენ ვართ, ყველა ერთიან; მტერს ვატყუდებოდით მიტომაც შეხად და ბევრჯერ მკერდით გავგიკვეთია.

მიტომ ვერ გვძლია ფაშისის რისხვამ და ვერ ჩამოწვა ზვავი ტყე-ველზე, რომ ჩვენი სისხლის თვითეულ მისხალს, ვღვრიდით საშობლოს საკურთხეველზე.

ჩვენს დამარცხებას დიდხანს ელოდნენ, და მიზანს ჩვენსას ახლაც ებრძვიან... მაგრამ გვიყვარდეს, გვწამდეს, გვჭეროდეს, რაც ლენინს ჩვენთვის უანდერძია.

ის ფოლაღია გულებს ჩვენის და ფიქრთა ტკბილთა ანდამატია, მის დროშებს დიდის ცისკარი შევენის, მალლა რომ მიაქვს ჩვენს დიდ პარტიას.

იგი ტოლია მალალ მწვერვალთა — მუინვარია თუ არარატია; კლდეთა და ზღვათა ძალა შემართა და ხალხებს ჭავშნად აკრავს პარტია.

კვლავაც საშობლოს ვუფაროთ მკერდი, მტერი ბნელი და მუხანათია, რომ ვიყოთ ერთად, რომ გვწამდეს ერთი, ამას გვასწავლის ჩვენი პარტია.

პარტია მზეა, სინათლით სავსე, დაუფარავი ნისლით და ღრუბლით,

მზე — გადმომდგარი მუინვარის თავზე, როგორც ლენინის ნათელი შუღლი.

პარტია — ახალ აზრთა ნათელი და ძველი სიბრძნის მკვდრეთით აღდგომა, გადაუარა ყველა მატერიკს და ცას გაეკრა ირმის ნახტომად.

პარტია — ჩვენი ქარხნები მძლავრი ველზე გაშლილი ახალ უბნებად, საკვამლურების ატყორცნილ ჭარით ცას რომ გუგუნით ესაუბრება.

პარტია — მწვანედ გაშლა მთა-ველის, უდაბნოები ბალად შეცვლილი, ცა დასერილი თვითმფრინავებით და ელმავლებით გზა დაკეცილი.

პარტია — ხეში ჩანჩქერის მღერა, მაისით შეცვლა ზამთრის ტაროსის, კორდებზე ჩაის ბუჩქებით წერა, როგორც ფურცლები „მეფისტყაოსნის“.

მის დამარცხებას დიდხანს ელოდნენ, მის დიდ მიზანს ახლაც ებრძვიან, მაგრამ გვიყვარდეს, გვწამდეს, გვჭეროდეს, რაც ლენინს ჩვენთვის უანდერძია.

საშობლოს ჩვენსას ვუფაროთ მკერდი, მტერი ბნელი და მუხანათია, რომ ვიყოთ ერთად, რომ გვწამდეს ერთი, მუდამ გვასწავლის ჩვენი პარტია.

პარტია მე ვარ, პარტია შენ ხარ, ის არის, ჩვენ ვართ ხალხი — პარტია; მალალ კლდეებთან ქარიშხლის შეხლა და ძალა მენთა არის პარტია!




ფართო ჰორიზონტები

ქართველი ხალხი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ზეიმით აღნიშნავს დიად იუბილეს — საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ფართო ჰორიზონტები გაუხსნა საბჭოთა ხალხს ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის.

საბჭოთა საქართველო გადაიქცა მაღალგანვითარებული მრეწველობის, მოწინავე სოფლის მეურნეობისა და კულტურის რესპუბლიკად.

საქართველოში გაფართოვდა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებების ქსელი, აღიზარდა ეროვნული კადრები, შეიქმნა მოწინავე ქართული საბჭოთა ინტელიგენცია.



ახალ სიმაღლეზე

ახალსა და თავისუფალ, კაცობრიობის ისტორიაში მანამდე არნახულ ეპოქას უკვე ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს. ეს არის ბრძოლებისა და გამარჯვებების ნახევარი საუკუნე. ამ ისტორიის პირველი ფურცელი გადაიშალა 1917 წლის 7 ნოემბერს, ამ დიდ თარიღს დღეს ზეიმობს მთელი პროგრესული მსოფლიო.

ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში მეტად დიდი მოვლენა იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსება 1941 წელს, საბჭოთა საქართველოს მეოცე წლისთავზე.

დღეისათვის აკადემია გადაიქცა არა მარტო ქართული მეცნიერების ძირითად კერად, არამედ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს სამეცნიერო ცენტრად.

თანამედროვე მეცნიერების სხვადასხვა დარგში ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებმა ფართო აღიარება მოიპოვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ქართველი მეცნიერები ახალი მიღწევებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს.

ნ. მუსხელიშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

ნახევარი საუკუნე არც ისე დიდი დროა ისტორიისათვის და მაინც ამ დროის მანძილზე გაკეთდა იმდენი, რაც ადრე მთელმა საუკუნეებმა ვერ შეძლეს. ეს არის გაუგონარი წინსვლა ტექნიკისა და კულტურისა, აუჯავყება ლიტერატურისა და ხელოვნებისა, ამაღლება და გაუმჭობრება მთელი ხალხის მატერიალურ-ეკონომიური მდგომარეობისა.

ქართველი მხატვრის გული დღეს სავსეა აღტაცებით. საბჭოთა სახვითმა ხელოვნებამ განვითარების მაღალ მწვერვალს მიაღწია; ჩვენმა ქართველმა მხატვრებმა — ძველი დროის სახელოვან დიდოსტატთა, ვარძიის, გელათის, უბისის, ყინწვისის, ატენის ფრესკების სახელოვან შემოქმედთა ღირსეულმა მემკვიდრეებმა ახალ სიმაღლეზე აიყვანეს მონუმენტური ქართული ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა; ხალხურ შემოქმედებას მიეცა უადრესად ფართო გასაქანი, ხელოვნების ყველა დარგში აღიზარდა ნიჭიერ შემოქმედთა მთელი თაობები.

მთელი გულით ვულოცავ ჩემს სავარდელ სამშობლოს და მის ხალხს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

ლადო გუდიაშვილი

საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველას პრემიის ლაურეატი.



აგრე გვმართებს, ძმებო!

ჩვენს თაობებს ჰქონდა ბედნიერება საკუთარი თვალით ეხილა განადგურება რომანოვების იმპერიისა ოქტომბრის დიდი რევოლუციის მიერ. ლენინის ბრძნულმა ნაციონალურმა პოლიტიკამ კვლავ აღუდგინა ნაციონალური სახელმწიფო იმ ერებს, რომელთა სახელი ამოშლილი იყო მსოფლიოს რუკებიდან.

ჩემი სიურმიდან დაძაბული ყურადღებით ვადევნებდი თვალს მიმძღავრებული ერების ბრძოლას მოძალადეთა წინააღმდეგ. დღეს დიდი საბჭოთა კავშირი სხვათა შორის ორ დიდ საქმეს უწევს თავკაცობას: დამონებული ერების ბრძოლას აზიასა, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში და მშვიდობისადმი ლტოლვილობას მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებისას.

ეს ამბავი მომეტებულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ჩვენ, ქართველ საბჭოთა მწერლებს. ყოველთვის ჩვენ თანაბარის გულისხმობით მოვეციდებით ჩვენი ხელისუფლების მიერ დასახულ დიდ და საშვილიშვილო ამოცანებისათვის ბრძოლას.

ჩვენ ვცხოვრობთ მრავალეროვან საბჭოთა კავშირში. ამ ვითარებაში ჩვენი უპირატესი ვალია, ფარზე ავიყვანოთ ლენინისეული ხალხთა ნამდვილი შეძომობის მაღალი იდეები, განვამტკიცოთ ურთიერთისადმი პატივისცემა, ნამდვილი სიყვარული და ინტერესი.

ქართული ლიტერატურა უბრწყინვალესი ლიტერატურაა მთელ მსოფლიოში.

მე მიყვარს ჩემი ხალხის წარსული იმისათვის, რომ ჩვენს ახალგაზრდობას გამირობისა და მამაცობის მაგალითები ვუჩვენო. მე ვარ პატრიოტი არა მარტო დავითის და თამარის საქართველოსი, მე ვარ პატრიოტი საბჭოთა საქართველოსი და მთელი სულითა და გულით მსურს, რომ ჩვენი ხალხი იყოს მუდამ ძლიერი და ბედნიერი.

ჩვენი მწერლების ფრიად საპატიო მოვალეობაა, ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის ენთუზიასტთა გამოვლინება.

ჩემს რომანში „დიდოსტატის მარჯვენაში“ შექმნილსამებრ ხოტბა შევასხი ძველი საქართველოს ოსტატთაგანს ერთს. ჩვენს შეუდარებლად აღორძინებულ დღევანდელობას მოეპოვება მრავალი თავდადებული და ჩუმი მუშაკი. ისინი საკუთარ სიცოცხლესაც არ დაიშურებენ საშვილიშვილო საქმეთა განსახორციელებლად. მე მათს დიდ საქმეებს მივუძღვენი „მოვარის მოტაცება“ და „ვაზის ყვავილობა“.

ოცდაათი წლის წინ, როცა ვწერდი წიგნს „კოლხეთში“, მე ასე ვუთხარი კოლხილმშენის ენთუზიასტებს:

„აგრე გმართებთ, ძმებო, ჩვენ დიდ საქართველოს ვქმნით, ჩვენი შესანიშნავი ხალხისა და მისი დიდი ისტორიის ღირსეული მემკვიდრენი ვართ. ყოველ უბანში, სადაც ჩვენ ხელსუფლება დაგვყენებს, თავი უნდა დავდოთ ჩვენი მოვალეობის შესასრულებლად უთუოდ.“

რაც უფრო მეტად სახელოვანი წინაპრები ჰყავს ადამიანს, მით უფრო მეტს მოითხოვენ მისგან, ამიტომაც უნდა შევეცადოთ, შრომაშიაც გავასწროთ ჩვენს წინაპრებს და არც ბრძოლაში ჩამოვრჩეთ მათ, რადგან ორი ათასი წლის სიამავე შემოგვცქერის საქართველოს მიწის წიაღიდან, ძმებო!“

ეს სიტყვები მინდა გავიმეორო დღესაც და მივულოცო ოქტომბრის დიდი დღესასწაული ჩემი ქვეყნის ადამიანებს.

აკადემიკოსი კონსტანტინე გასასხურდია.



სურათში: ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი, მარცხნიდან, სხედან: ალექსანდრე ქუთათელი, ირაკლი აბაშიძე, ელგუჯა მაღრაძე. დგანან — იოსებ ნონეშვილი, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი და რევაზ მარგვიანი.

ფოტო მ. არჩვაძისა

შინისთვის არჩვეულება...

დღევანდელი ზეიმის დღეს ქართველი ხალხი თავის ყველაზე საამაუო მიღწევათა და წარმატებათა შორის ასახელებს იმ შესანიშნავ წიგნებს — რომანებსა და პიესებს, მოთხრობებისა და ლექსების კრებულებს, რომლებიც ქართველმა მწერლებმა შექმნეს განვლილი ორმოცდაათი წლის მანძილზე.

ეს წიგნები იქცნენ ჩვენი აღამაინების განუყრელ თანამგზავრებად ბრძოლისა და შრომის ნახევარსაუკუნოვან გზაზე; პოეტი — ხალხის მოციქულია, მისი სულის გამოხატველი, მისი ფიქრის, მისი გრძნობის გამოთქმელი. ხალხი პოეტის ლექსით გადმოსცემს თავის ყველაზე წმინდა, ყველაზე სანუკვარ გრძნობას. საილუსტრაციოდ აქ მრავალზე მრავალი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ: საქართველო გალაკტიონის ლექსით მიესალმა დიდ ოქტომბერს, გიორგი ლეონიძის ლექსით უმღერა ჩვენმა ხალხმა შრომაში და ბრძოლაში გამარჯვებული ვაჟკაცის მარჯვენას; სამაშულო ომის წლებში ხალხმა თავის უსაყვარლეს სიმღერად აქცია ირაკლი აბაშიძის სტრიქონები, რომლებიც გაისმოდა, როგორც ფიცი სამშობლოსადმი ერთგულებისა, როგორც დადასტურება იმ სიმამაცისა და თავგანწირვისა, იმ სულიერი კეთილშობილებისა, რომელიც ჩვენმა ხალხმა ომის მძიმე წლებში გამოიჩინა.

ახეთი მაგალითებით აღსავსეა ქართული საბჭოთა პოეზიის ისტორია, რომელიც შექმნეს, დააფუძნეს, განავითარეს და ახალ მწვერვალებზე აიყვანეს ქართული სიტყვის შესანიშნავი ოსტატების მთელმა თაობებმა. აქ ერთი-მეორის მხარდამხარ დგანან

როგორც ძველი, ისე ახალი თაობა; ესაა მრავალრიცხოვანი კოლექტივი სრულიად განსხვავებული ხმის პოეტებისა, რომლებსაც აერთიანებთ საბჭოთა პატრიოტიზმის წმინდა გრძნობა.

ქართული ლექსი დღეს ამაყად ეღერს მსოფლიოს მრავალ ენაზე. ქართულმა პოეზიამ მსოფლიო კულტურის საგანძურს არაერთი შედეგრი მიუშაბა.

განვითარების ახალ მწვერვალებს მიაღწია ქართულმა პროზამ. ქართული ეროვნული კულტურის საგანძურში მტკიცედ დამკვიდრდნენ კონსტანტინე გამსახურდიასა და დემნა შენგელაიას, მიხეილ ჯავახიშვილისა და ლეო ქიაჩელი, სერგო კლდიაშვილისა და კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ალექსანდრე ქუთათელისა და რევაზ ჯაფარიძის, გრიგოლ აბაშიძისა და აკაკი ბელიაშვილის, მრავალი მათი თანამოქალაქის შესანიშნავი ბელეტრისტული ქმნილებანი. ბოლო წლების მანძილზე გამოვიდა ახალგაზრდა პროზაიკოსთა მთელი თაობა, რომელიც ღირსეულად აგრძელებს ქართული ლიტერატურის ყველაზე სასახელო ტრადიციებს. ქართული პროზა იქცა საბჭოთა საქართველოს ცნოვრების შესანიშნავ მატრიანედ, მან ასახა ჩვენი დიდი წარსულიც და მზიანი აწმყოც.

დიდად წინ წავიდა ქართული საბჭოთა დრამატურგია; საქმარისა დავასახელოთ თუნდაც მარტო პ. კაკაბაძის, შ. დადიანის და ს. შანშიაშვილის სახელები, რომ ნათელი გახდეს თუ რაოდენ დიდი სულიერი საზრდო მისცეს ქართულ თეატრსა და მათურბელს სიტყვის ამ შესანიშნავმა ოსტატებმა, მთელმა ჩვენმა დრამატურგებმა.

ჩვენმა კრიტიკამ და ლიტერატურათმცოდნეობამ უდიდესი ამაგი დასდო ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმეს, ეს ნათლად გამოავლინა რუსთაველის იუბილემ, რომელიც ჩვენი ეროვნული კულტურის ბრწყინვალე ზეიმი იყო.

ქართული კულტურის ამ დიდმა სახალხო ზეიმმა, რუსთაველის მრავალ ნაანდერძევეთა შორის კიდევ ერთხელ შეგვახსენა ისიც, რომ „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“. ქართული მწერლობა მუდამ ძმობისა და მეგობრობის, სამშობლოს სიყვარულისა და დიდი ჰუმანიზმის მედროზე უოფილა და საბჭოთა ეპოქამ სწორედ მის ამ ყველაზე სახელოვან ტრადიციებს გაუხსნა ფართო გზა, მისცა დიდი დასტური. ამ უმკვიდრეს საფუძველზე აშენდა ახალი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია.

ქართველი მწერლები მუდამ — ჭირშიც და ლხინშიც თავის ხალხთან ერთად იყვნენ. ამ გზით დაიმკვიდრეს მათ სიყვარული ხალხისა; ქართველ კაცს მუდამ უყვარდა ლიტერატურა, ეს სიყვარული მას თან სდევდა ჩვენი მწერლობის წარმოშობის დღიდან. მაგრამ ოქტომბერმა მას ახალი და უფართოესი ასპარეზი გაუხსნა. ამ გზით აყვავდა და გაიფურჩქნა ჩვენი მწერლობა, ამ გზით მიაღწია მან ახალ მწვერვალებს.

ქართული მწერლობა პირნათლად შეხვდა ჩვენი ხალხის ყველაზე დიდ დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის ორმოცდაათი წლისთავს.

ოქცოგის სახუნა



ნახევარი საუკუნის წინ ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყანა იყო. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, უმოკლეს ხანში, იგი მაღალგანვითარებული ინდუსტრიის, მიწინავე სოფლის მეურნეობის და ახალი სოციალისტური კულტურის ქვეყნად იქცა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღსდგა, აშენდა და საქსპლოატაციოდ გადაეცა 40 ათასი მსხვილი სამრეწველო საწარმო, გაყვანილი იქნა 140 ათასზე მეტი კილომეტრი საერთო სიგრძის რკინიგზა. საბჭოთა კავშირში 50 წლის მანძილზე ქალაქებში, მუშათა დასახლებებში და საბჭოთა მეურნეობებში აშენდა სახლები 1.867 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით. უკანასკნელ 10 წელიწადში ჩვენს ქვეყანაში 114 მილიონამდე ადამიანმა, დაახლოებით მთელი მოსახლეობის ნახევარმა მიიღო ახალი ბინა ან გაიუმჯობესა საცხოვრებელი პირობები.

* * *

ომამდელ ხუთწლეულებში, დაახლოებით თორმეტი წლის მანძილზე, საბჭოთა კავშირში განხორციელდა ქვეყნის სრული ინდუსტრიალიზაცია. ასეთი გრანდიოზული წარმატების მოსაპოვებლად კაპიტალისტურ ქვეყნებს 100-ზე მეტი წელიწადი დაჭირდებოდათ. მრეწველობის საერთო პროდუქცია, 1918 წელთან შედარებით, 1966 წლისათვის 66-ჯერ გაიზარდა, საბჭოთა კავშირის ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 84-ჯერ და მეტად, 1918 წლიდან დაწყებული, 1966 წლის ჩათვლით, ჩვენს ქვეყანაში სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიურმა მატებამ 10 პროცენტი შეადგინა, და ეს იმ დროს, როცა წლიური მატება ამერიკაში იყო 3,7 პროცენტი, იტალიაში — 2,1 პროცენტი, საფრანგეთში — 3,7 პროცენტი; ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება გაიზარდა სამჯერ, სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლისა — 20-ჯერ და მეტად. მარტო გასულ წელს, სსრ კავშირში წარმოებული იქნა 545 მილიარდი კილოვატსათი ელექტროენერჯია, ამოღებულია 265 მილიონი ტონა ნავთობი, გამოდნობილია 70,8 მილიონი ტონა თუჩი.

* * *

ამჟამად ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მუშაობს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 18 მილიონი ადამიანი, ე. ი. 68-ჯერ მეტი სპეციალისტი, ვიდრე

1918 წელს. მარტო მიმდინარე ხუთწლეულში საბჭოთა კავშირში 7 მილიონი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი მომზადდება. რევოლუციამდე ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიებზე არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ იყო. ამჟამად ამ რესპუბლიკებში ათობით უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია და უმაღლესი სასწავლებლებია. ჩვენს ქვეყანაში დღეისათვის 72 მილიონი ადამიანი სწავლობს სკოლებში, ტექნიკუმებში და უმაღლეს სასწავლებლებში. საბჭოთა კავშირის მოსახლეობის თითქმის ნახევარს უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს მიღებული.

* * *

რევოლუციის პირველ წლებში ჩვენ ვიცნებოდით 10 ათას ტრაქტორზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მძლავრი აღჭარავის საფუძველი გახდებოდა. მარტო გასულ წელს, სსრ კავშირის სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, გამოშვებული იქნა 882 ათასი ტრაქტორი. 1981 წელს პირველ ოქტომბერს ხარკოვის სატრაქტორო ქარხანამ პირველი მანქანა გამოუშვა, მიმდინარე წელს კი ქარხნის კოლექტივმა წეიშით აღნიშნა კონვეიერიდან შემოიღონ ტრაქტორის გადმოსვლა.

* * *

საბჭოთა კავშირში წარმატებით შესრულდა საიუბილეო 1967 წლის სახალხო მეურნეობის გეგმები. სამრეწველო პროდუქციის მატებამ ნახევარ წელიწადში შეადგინა 10,6 პროცენტი. ხუთწლეულის ორ წელიწადში ეროვნული შემოსავალი გაიზარდა არა ნაკლებ 14 პროცენტისა, რეალური შემოსავალი თვითუღმოსახლეზე — დაახლოებით 12 პროცენტით.

* * *

საბჭოთა საქართველოში მრეწველობის საერთო პროდუქცია, 1918 წელთან შედარებით, 62-ჯერ გაიზარდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენდა და საქსპლოატაციოდ გადაეცა ათასზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო. ამჟამად საქართველო, ყოველ ორ დღეში იღებს იმაზე მეტ ელექტროენერჯიას, რასაც მთელი 1918 წლის მანძილზე ღებულობდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა

სრულიად ახალი მსხვილი სამრეწველო დარგები — მანქანათმშენებლობა, მეტალურჯია, ელექტროტექნიკური, ქიმიური და სხვა. საქართველოში დამზადებული პროდუქცია ახლა მსოფლიოს 65 ქვეყანაში იგზავნება. მიმდინარე ხუთწლეულის ბოლოსათვის სამრეწველო პროდუქციის ოდენობა საქართველოში 70-ჯერ გაიზარდება.

* * *

1966 წელს, ომისწინა 1940 წელთან შედარებით, ჩვენს რესპუბლიკაში შრომისნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 254 პროცენტით, მუშებისა და მოსამსახურეების რეალური შემოსავალი 1958 წლიდან 1965 წლამდე გადიდა 17,4 პროცენტით; სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსებამ გასულ წელს მთელი რესპუბლიკის ბიუჯეტის 12 პროცენტი, სოფლო წლევიანდელ საიუბილეო წელს თითქმის 18 პროცენტი შეადგინა.

* * *

1921 წელს საქართველოში იყო სულ ათასი მექანიკური პლანტაცია, ხარადაც 550 ტონა ნედლეული შიკრიფა. რევოლუციამდე ჩვენში ზვრებს 86 ათასი მექანიკური ფართობი ექიკა, ციტრუსებს — 418 მექანიკური. ამჟამად საქართველოში ჩაის პლანტაციებს უჭირავს 64 ათასი მექანიკური, 1928 წელთან შედარებით ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა ზვრებისა და ტექნიკური კულტურების ნათესების ფართობები, 28-ჯერ — ციტრუსების პლანტაციები. 1966 წელს საბჭოთა საქართველომ სამშობლოს მისცა 226 ათასი ტონა „მწვანე ოქრო“, 248 ათასი ტონა ყურძენი, 45 ათასი ტონა ციტრუსები.

ამჟამად საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ჩაის წარმოებით. საბჭოთა კავშირში საქართველო ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელია ყურძნის, თამბაქოსი, ტექნიკური კულტურების, ხილის, ციტრუსების. მიმდინარე ხუთწლეულის ბოლოსთვის საქართველო სამშობლოს მისცემს 285 ათას ტონა ჩაის, 487 ათას ტონა ყურძენს, 289 ათას ტონა ხილს, 117 ათას ტონა ხორცს, 587 ათას ტონა რძეს, 425 მილიონ ცალ კვერცხს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

* * *

1985 წელს ჩვენი რესპუბლიკის მინდვრებსა და პლანტაციებში მუშაობდა 1.200 ტრაქტორი, 125 კომბაინი და სხვა სასოფლო-სამეურნეო

მანქანები. 1940 წლისათვის ტრაქტორების რიცხვი საქართველოში 8.015-მდე გაიზარდა, ხორბლის ასაღები კომბაინებისა — 582-მდე. რევოლუციამდე საქართველოში არ იყო არც ერთი ტრაქტორი, 1966 წელს რესპუბლიკაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში იყო 18.400 ტრაქტორი, 1.720 კომბაინი და სხვა პირველხარისისოვანი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები.

საქართველოში, მთელ მსოფლიოში პირველად, შეიქმნა ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, რომელმაც დიდად შეამსუბუქა მეჩაიეების მძიმე შრომა.

* * *

საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე ამჟამად მუშაობს 147 ათასამდე სპეციალისტი უმაღლესი ცოდნით. ჩვენი რესპუბლიკის 18 უმაღლეს სასწავლებელში ახლა 81.490 სტუდენტი სწავლობს. რესპუბლიკაში არის 200-მდე სამეცნიერო დაწესებულება, რომლებშიც მუშაობს 14 ათასი მუშაკი, მათ შორის 717 დოქტორი, 4 ათასი — მეცნიერების კანდიდატი. საბჭოთა ეპოქის პირმშო — საქართველოს მეცნიერებათა აკადემია 88 სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას აერთიანებს.

* * *

საქართველოში, ძიერ როგორც ყველა მოძვე რესპუბლიკაში, აღორძინდა და გაიფურჩქნა ეროვნული კულტურა. რევოლუციის შემდეგ საქართველოში 6-ჯერ მეტი წიგნი გამოიცა, ვიდრე საქართველოს არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე. მარტო გასულ წელს ჩვენს რესპუბლიკაში გამოცემული იქნა 2.216 დასახელების წიგნი და ბროშურა 15.080 ათასი საერთო ტირაჟით, 1921 წელს კი გამოშვებული იყო 159 წიგნი და ბროშურა.

* * *

რევოლუციამდე საქართველოში იყო სულ 5 თეატრი, ამჟამად რესპუბლიკაში სახელმწიფო თეატრების მხარდამხარე მუშაობს 40 სახალხო თეატრი, 1500-მდე თვითმოქმედი დრამატული კოლექტივი, რომლებიც 17 ათას სცენისმოყვარეს აერთიანებენ. 1914 წელს საქართველოში იყო 29 კინოდაწარმო, 1964 წელს კი — 1.520. ჩვენს რესპუბლიკაში ახლა 1.100 სოფელს აქვს საკუთარი მუდმივი კინოდაწარმო.



წინათ და ახლაც

დიდი ოქტომბრის ნახევარმა საუკუნემ ჩემ თვალს წინ გაიბინა. მე მოგესწარა მის წინა ხანასაც და კარგად ვიცი, რა იყო წინათ, და თვალნათლივ ვხედავ, რა არის ახლა. დიდი, ძალიან დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს ძველსა და ახალს შორის. ოქტომბერმა დამსხვრია მო-

წლების ბორკილი და გაათავისუფლა დაჩაგრული ერები თვით რუსეთის იმპერიაში, ხოლო ამ იმპერიის გარეთ გამოაფხინა იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან დამონებული ერები აღმოსავლეთსა და სამხრეთში, აზიასა და აფრიკაში. მან ახალი ხანა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში.

კერძოდ საქართველო დღეს სულ სხვაა, ვიდრე წინათ იყო. ბევრი რამ, რაც წინათ საოცნებოდ გვქონდა, დღეს უკვე ხორც-შესხმულია: გუბერნიების ნაცვლად რესპუბლიკა გვაქვს, რომელიც ერთი მოწინავეთაგანია მძლავრი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის. ინდუსტრია ქალაქებში და მოწინავე აგროტექნიკა სოფლებში, სწავლა-განათლება, მეცნიერება, ტექნიკა, კულტურა — ყველაფერი დიდი პროგრესითა მიღწეული და ჩვენი ცხოვრება მთლიანად გადახალისებულია.

მომავლსაც დიდი იმედით შევხურობთ. მშვიდობა გვსურს და მისთვის ვიბრძვით, რომ არაფერმა შეაფეროს ჩვენი თავდადებული შრომა ყოველ დარგში და კიდევ უფრო განავითაროს ჩვენი ეკონომიკის საფუძვლები, ყოველმხრივ გამოავლინოს ჩვენი შემოქმედებითი სულიერი ძალები.

აკადემიკოსი პაბბი შენიძე

ახალ წარმატებათა გზით

საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული მსოფლიო სიხარულით ეგებება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს. ჩვენი ქვეყნის შრომელები, საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ ირავდება კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო და განუხრებლად იღწვის კომუნისმის მშენებლობის გზაზე.

დიდა ჩვენი ქვეყნის მიღწევები მეცნიერებისა და კულტურის დარგში. საქართველოში ამჟამად მოიპოვება უნივერსიტეტი და მრავალი სხვა უმაღლესი სასწავლებელი, მეცნიერებთა აკადემია, რომელიც აერთიანებს მრავალ სამეცნიერო-საკვლევადიებო ინსტიტუტს მეცნიერების თითქმის ყველა დარგში.

ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა თავისი უნიშვნელოვანეი გამოკვლევებით



მსოფლიო სახელი მოუხვეჭა ჩვენს მეცნიერებასა და ჩვენს ქვეყანას.

ამჟამად ჩვენი მეცნიერების წინაშე მუდამ საპასუხისმგებლო ამოცანები დგას. კიდევ უფრო ავამაღლოთ მეცნიერული მუშაობის დონე და ამ გზით კვლავაც ვემსახუროთ ჩვენი სამშობლოსა და მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლის მშენებლობის საქმეს.

აკადემიკოსი გიორგი წარამიელი

კულტურის მაღალი მშვენიერებებისაკენ

ჩაოდენი სიკეთე და სიხარული მოგვითანა დიდმა ოქტომბერმა, ჩამოთვლაც კი ძნელია! გავისხენოთ თუნდაც ის ამბავი, რომ მილიონებმა პირველად ისილეს დაბალი, საშუალო და უმაღლესი სკოლის კედლები, ხარბად დაეწაფნენ სწავლას და თანამედროვე მეცნიერებისა და კულტურის მაღალ საფეხურებს მიაღწიეს. ამან ასად და ათასად გაზარდა საბჭოთა ხალხის, ყველა საბჭოთა ერის ინტელექტუალური აქტიურობა, შექმნა წინაპირობა გრანდიოზული წარმატებებისათვის მეცნიერების, ტექნიკის და კულტურის ყველა სფეროში, რასაც ატაცებდაში მომავლს ყველა პატიოსანი ადამიანი მთელ მსოფლიოში.

რა უნარმაზარი განსხვავებაა დღევანდელსა და ძველ სოფელს შორის! დიდა ეს განსხვავება ყველა სფეროში, მაგრამ მე მხოლოდ ერთ მხარეს შევხებები — ეს არის სწავლისადმი დამოკიდებულება ძველად და ახლა. წინათ სოფელი ბიჭისა და გოგოსათვის მუდამ ძნელი იყო დაბალი განათლების მიღება, საშუალო სკოლის დამთავრება მხოლოდ ათასიდან ერთს თუ შეეძლო. უმაღლესი განათლების მიღებაზე კი ფიქრიც არ შეიძლებოდა — უნივერსიტეტები მხოლოდ რუსეთის შორეულ ქალაქებში იყო და იქ სასწავლებლად წასვლა დიდ ხანსრებს მოითხოვდა, სხვა სოციალური ხასიათის დაბრკოლებებს თავი რომ დავანებოთ. მაგრამ ხალხის განათლების მტერი მარტო მატერიალური სიღარიბე, სოციალური უთანასწორობა და სკოლების უქონლობა როდი იყო. ამას ხელს უშლიდა აგრეთვე ხალხის დაბალ ფენებში საკმაოდ ფეხმოკიდებული სხვადასხვა უმეცრებანი და ყალბი შეხედულებანი.

თავად-აწარმოების, მეფის მსხვილი და წვრილფეხა მოხელეების, ჩარჩ-ვჭირებისა და ეკლესიის დიდ და პატარა მსახურთა შემოსავლის მთავარი წყარო არა მარტო გლეხკაცობის შრომის პირდაპირი ექსპლუატაცია იყო; უმეცრება და წერა-

კითხვის მანობრივი უცოდინარობა წარმოადგენდა მათი სოციალური უპირატესობის და მატერიალური კეთილდღეობის შენარჩუნების ერთ-ერთ დასაყრდენს. ამ სოციალურად პრივილეგიური ფენების დიდი უმეტესობა თვით იყო მოკლებული საფუძვლიან განათლებას, მაგრამ ის კი იცოდნენ, რომ ხალხში ცოდნისა და განათლების შუქის შეტრა მათი გაბატონებული მდგომარეობისათვის მომავლიდნებელი ლახვარი იქნებოდა. ისინი ხასტიკად ებრძოდნენ პროგრესულ აღმზიანებს, ზოგჯერ მათივე წრიდან გამოსულბსაც, რომლებიც ქადაგებდნენ მოწინავე აზრებსა და იდეებს.

რა ხრიკებს არ მიმართავდნენ გაბატონებული კლასები, ოღონდ ხალხისათვის განათლებისა და სწავლის გზა გადაეკრათ; გლეხკაცობას ისინი განსაკუთრებით იმით აშინებდნენ, რომ სწავლა-განათლების გავრცელება მამა-პაპური ტრადიციების მოსპობას გვიქადისო. მე მახსენდება ერთი ამბავი, რომელიც დამახასიათებელია იმდროინდელი სოფლის ცხოვრების ვითარებისათვის. როცა სოფლის თავკაცები შეიყრებოდნენ, ხშირად ჰყვებოდნენ ხოლმე ერთ ამბავს, რომელიც შეეხებოდა გლეხობის წრიდან გამოსულ ექიმს (მის გვარსაც ასახელებდნენ). მისი მამა წყლის მზიდავი ყოფილა და თავისი მცირე დანაზოგით შევილი, დიდი გაჭირვებით უნივერსიტეტში გაუზავნია, ერთხელ, როცა შევილი, უკვე უმაღლესდამთავრებული, ქალაქში სეირნობდა თავის მეგობრებთან ერთად, მამა შეხვედრია: მოხუცს, ჩვეულებრივ, წყალი მოჰქონდა მცხოვრებთათვის. განარბული მამა შევილს სიხარულით მიეგება, მაგრამ მას მშობლისათვის ზურგი შეუქცევია, ხმა არ გაუცია და დარცხვენილს თავისი თანამგზავრები სხვა გზით წაუყვანია. ეს მელიოდრამატული ისტორია ასე მთავრდებოდა: გულნატკენ მამას შევილი დაუწყევლია და სამუდამოდ გასცილებია მას. მე მახსოვს, როცა ამ ამბავს ჰყვებოდნენ, თვალტრემილიანი



გლეხის დედაკაცები წველა-კრულით ახსენებდნენ უმაღურ შევილს და იწონებდნენ მამის მკაცრ საქციელს, ხოლო მამაკაცები „ბრძნულად“ ასკვნდნენ, რომ ქალაქური განათლება მორალურად რყვნის ახალგაზრდობას და უმჯობესია გლეხის შევილი მამა-პაპურ ყაიდაზე იზრდებოდეს და ოჯახის ტრადიციების გაგრძელებაზე ფიქრობდეს.

ეს ამბავი და ბევრი ასეთი რამ, რომლის მოწმე მე თვით ვიყავი, დღევანდელ თაობას, ბუნებრივია, შეიძლება დაუჭერებლადაც მოეჩვენოს. მაგრამ ასეთი ვითარება, ეს სიბნელე, ჩამორჩენილობა, და უფრო მძიმე ამბებიც — მაშინ სრულიად ჩვეულებრივი იყო. მსგავსი ვითარებაა ჭერ კიდევ ბევრ სხვა ქვეყანაშიც და ჩვენშიც ასე იქნებოდა, თუ არა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, და ის გვირული 50 წელი დიდი სოციალისტური მშენებლობისა, რამაც მთელი ჩვენი ქვეყანა ძირფესვიანად გარდაქმნა, მისცა საშუალება საბჭოთა ხალხს, კერძოდ ქართველ ერს, უდიდესი აღმავლობის გზას დასდგომოდა და მიეღწია სასწაულებრივი წარმატებებისათვის მატერიალური და სულიერი კულტურის ყველა სფეროში.

აკადემიკოსი ილია შავაძე



ჩვენი მხატვრები:
 მარცხნივ — ს. ქობულაძე;
 მარჯვნივ — უ. ჯაფარიძე.
 ნახატები თ. შუბანაიშვილისა.



საიუბილეო გამოფენის ექსპონატები

დ. ნოდია
 „მემონტაჟები“.
 ენგურპესის სერიიდან.





ნ. ქართველიშვილი, სტურმად ბაბელსიან.



ქ. მახარაძე, მინა ქართული.



გ. ნალუბაიძე, მამები



უ. გვაჯარიძე, ჩემი საშობლო.



ე. ანდრონიკაშვილი. რველი.



ნ. ფლავანდიშვილი. მშობლიურ ოჯახში.

უხსოვარ დროიდან, მას შემდეგ რაც ადამიანი გამოეყო ცხოველთა სამყაროს და ის მეტად რთულ და თავისებურ სისტემის ნაწილი გახდა, დადგა თვით ადამიანის რაობის, მისი ბედისა და ზედღრის საკითხი.

პრობლემაა წრე მოიცავდა ადამიანის არა მარტო ბიოლოგიურ თუ ფიზიოლოგიურ სტრუქტურას (თუმცა აქაც დღემდე ბევრი რამ ამოუცნობია), არა მარტო მის დამოკიდებულებას ბუნებასთან, არამედ მის ფსიქიკურ არსებებს, მის კოორდინაციას სხვა ადამიანებთან, ე. ი. ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობათა მატარებელი ფენომენის კვლევას.

აღბათ საკითხის ისტორიის უცოდინარობით უნდა აიხსნას იმის მტკიცება, თითქოს ადამიანის პრობლემა მხოლოდ უახლოესმა ფილოსოფიურმა აზრმა, თუ სოციალური კვლევამ დააყენა, მაგალითად, თანამედროვე ექსისტენციალიზმმა.

ადამიანი თავის წარმოქმნის დღიდან ირკვევდა თავის რაობას, რადგან ის მუდამ განსხვავებული იყო იმ ძალებსაგან, რომელნიც მის გარეშე იმყოფებოდნენ, მასზე შემოქმედებდნენ და მას არ ექვემდებარებოდნენ. ეს ბუნების სტიქიონიც იყო და ადამიანთა საზოგადოების წიაღში მოქმედი მისთვის შეუცნობელი ძალებიც.

ადამიანის თვითგამორკვევას მრავალი ათასწლიური დასჭირდა და ახლაც კი, კვლავ ბევრია საკვლევი, განსაკუთრებით, როდესაც მისი შინაბუნების ფენომენში მოვისურვებთ ჩახედვას. რასაკვირველია, არ არის სწორი, თითქოს ამ ფენომენს იკვლევს მხოლოდ უახლოესი დასავლური ლიტერატურა, რომელიც თავის მხრივ ზიგმუნდ ფროიდის მეცნიერულ მონაპოვარს ეყრდნობა. ადამიანის რაობის პრობლემის გარკვევისათვის გასათვალისწინებელია ყოველნაირი სახის კვლევა, ფროიდის დაკვირვებებიც, მაგრამ, როგორც მეცნიერების გამოცდილებამ გვიჩვენა, ამ გზით შეიძლება ცალკეული საკითხი გაიკვლიოს; პრობლემის კომპლექსური გადაწყვეტა კი სულ სხვა გზით უნდა წარიმართოს.

1888 წელს 17 მარტს ფრიდრიხ ენგელსმა, ჰაიგეიტის სასაფლაოზე, კარლ მარქსს საშუალოდ რომ ეთხოვებოდა, ასე თქვა: „მარქსმა კაცობრიობის ისტორიის განვითარების კანონი აღმოაჩინა. მან აღმოაჩინა ის მარტივი ფაქტი... რომ ადამიანებს, პირველყოფილსა, უნდა ჰქონდეთ საჭიერი, სასმელი, საცხოვრებელი ბინა და ტანისამოსი, რათა მათ შესძლონ ხელი მოჰქიდონ პოლიტიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას“..

როგორც ყოველი გენიალური აღმოჩენა, ცხოვრების ეს უღმობელი კანონი განსაცვიფრებელი სიმარტივეთ არის ფორმულირებული.

ადამიანის მოდგმის ისტორიამ დამტკიცა, რომ ადამიანის გადაშენება, ცხოველთა სამყაროდან გამოყოფა, მისი „ზომო საპიერება“, გონიერ არსებად გადაქცევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შექმნის ისეთ ეკონომიურ სტრუქტურას, საიდანაც განვითარდებიან საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო დაწესებულებანი, წარმოიქმნებიან უფლებრივი შეხედულებანი, შეიქმნება ხელოვნება, ლიტერატურა, აღმოცენდებიან იდეოლოგიური წარმოდგენები.

ეს კანონი რომ დადგინდა, ადამიანის რაობის შემდგომი კვლევა უკვე მეცნიერულ საფუძველს დაეყრდნო და კაცობრიობას, ადამიანს გარკვეული პერსპექტივა დაეხაზა და არა მარტო თვითშეცნობის თვალსაზრისით, არამედ განსხვავების ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისათვის.

ოქტომბერი იმიტომ არის ეპოქალური მოვლენა, რომ მან დაიწყო ადამიანის განთავისუფლების, ემანსიპაციის უდიდესი მუშაური აქტი.

ჩვენ არასოდეს არ ვაუბრალდებოდით ხალხის წინაშე მდგომ ამოცანებს, არასოდეს არ ვამბობდით, რომ ერთი დაკვირვით შეიძლება გადაწყდეს ყველა საკითხი, რომელთა წინაშე ადამიანი ათასი წლების მანძილზე იდგა. ჩვენი ხალხი კაცობრიობის ახალ ისტორიას ჰქმნის, როგორც ურთულეს პროცესს.

მინდა გავიხსენო ერთი ფაქტი: 1988 წელს, საერთაშორისო პენკლუბის ყრილობაზე, იუგოსლავიაში, ბელადში, ერთ-ერთი შეხვედრის დროს, გვრძღვე მომიჯნა ევროპაში კარგად ცნობილი ანტიკომუნისტო, მწერალი-პუბლიცისტი, იტალიელი რენეგატი იგნაციო სილონი და მითხრა: „მაღე ნახევარი საუკუნე გახლდათ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ორმოცდაათი წლის მანძილზე გადაწყვეტილი ყველა პრობლემა, რომელიც ადამიანს აწუხებდა?“ „ბატონო სილონი, — მივუგე მე, — ჰერ ერთი, ორმოცდაათი წლიდან, ოც წელზე მეტი ჩვენ ვებრძოდით თქვენს დღევანდელ პატრონებს; ამ ბრძოლებში ჩვენ დაგვარგეთ ათობით მილიონი ადამიანი, და აი, ასეთ პირობებში გადავწყვეტით მაქსიმუმში იმისა, რისი გაკეთება შეგეძლო: მოვსპეთ ექსპლოატატორთა კლასები, გავაადამიანეთ ადამიანი, რადგან ჩვენთან არავის არ აქვს უფლება იბატონოს მეორე ადამიანზე; ჩვენ გავანათლეთ ადამიანი, გავზარდეთ მისი თვითშეგნება, ვაგრძობდით მას შინა ძალა და შესაძლებლობანი; ჩვენ გვგონია, რომ ყველაფერი ეს არის ჭეშმარიტი მუშაობა და არა დასავლური, სენტიმენტალური ფრაზების საბურველში გახვეული უბადრუკი ლაპრობა დემოკრატიაზე და ამგვარ მაღალ მატერიებზე. ჩვენ დავამყარეთ ერებს შორის კეთილი და მეგობრული დამოკიდებულება. ჩვენ თავზე არვის ვესხმოდით, მხოლოდ სამშობლოს მტრებს ვიგერიებდით. ჩვენ რომ არა, მსოფლიოში ახლა იფარფლებდა მიტლერი და თქვენებური მუსოლინი, სიმარტლი, თუ გნებავთ, აი ეს არის“.

არა მგონია, რომ დავარწმუნე იგნაციო სილონი, მაგრამ ეს არ ცვლის საქმის ვითარებას; სიმარტლი მანაც სიმარტლიდ რჩება.

რუსოვსა და ადამიანი

ადამიანის გადაშენება პირველ რიგში მის პიროვნებად გადაქცევას გულისხმობს. ეს კი ნიშნავს ადამიანის მორალურ, ესთეტიკურ, აზრობრივ სამყაროს განკარგებას და პირველ რიგში მის კომპლექსურ სტრუქტურაში საზოგადოებრივი შეგნების პრიმატის ჩამოყალიბებას და განმტკიცებას.

საზოგადოების იმ მოდელში, რომელიც მარქსმა შეიმუშავა, გათვალისწინებული იყო ადამიანის ყველა უმაღლესი ინტერესის სრული დაკმაყოფილება; ადამიანის პიროვნებად გადაქცევა პირველ რიგში განსხვავების ლიკვიდაციის ნიშნავს. ისიც ცნობილია, რომ მარქსს ამ ურთულეს პრობლემათა გადაწყვეტა, წარმოდგენილი ჰქონდა როგორც გარკვეული დროის მომცველი პროცესი.

ჩვენი ქვეყნის ნახევარი საუკუნის ისტორიამ ნათლმყო მარქსის მოდელის სრულყოფილება.

ოქტომბრის რევოლუციამ მოახდინა ადამიანის მრავალმხრივი ემანსიპაცია— ეკონომიური, პოლიტიკური, ზნეობრივი; გარკვეული, ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნული კოლექტივისადმი კუთვნილება გახადა ნამდვილად შეგნებული და სტაბილური. ადამიანს მიეცა საშუალება დაუფლებოდა ღირებულებათა სისტემას, რომელიც კაცობრიობამ თავისი ისტორიული შემოქმედების მთელ მანძილზე დააგროვა.

ადამიანის ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესში ოქტომბერი რუბიკონია, საიდანაც ადამიანი იწყებს საზოგადოებრივი პროცესის შეგნებულ წარმართვას, ოქტომბერი ის ზღვარია, საიდანაც დაიწყო გადასვლა აუცილებლობის სამყაროდან თავისუფლების სამყაროში.

ოქტომბერი კაცობრიობის ისტორიის გარკვეულია, ის ადამიანთა ისტორიის ჩარჩოში ზის, მაგრამ ოქტომბრის შემდგომი ეპოქა, ადამიანთა მოდგმის განვითარების ხარისხობრივად ახალი საფეხურია.

ოქტომბერი ადამიანთა საზოგადოების პროგრესის გადაწყვეტი რგოლია. აქედან იწყება განვითარების ახალი საფეხურები. ოქტომბერმა კიდე ერთი უდიადესი მნიშვნელობის ამოცანა გადაწყვიტა: მან შეგნებულ ისტორიულ პროცესში ჩააბა მასები. ოქტომბრის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ისტორიის შეგნებულ შემოქმედებისათვის საჭიროა არა მარტო ხელშეწყობა, ბელადების, არამედ თვით მასების გამოცდილება. საჭირო ყოფილა, რომ სწორედ მასებს გაეფლათ ისტორიის გამოცდილების გაკეთილი, რომ მათ ორგანულად აღეკვეთ, შეეთვისებიათ ეს გამოცდილება.

მრავალმხრივი და მდიდარი გახდა ოქტომბრის შემდგომი ეპოქის ადამიანთა გრძნობადი, აზრობრივი სამყარო. ადამიანს გაუჩნდა ახალი მოთხოვნილებები, ახალი სულიერი ზრახვები, მას სურს ახალ ეპოქას გაუწიროს ნაბიჯი, ის ეძებს ახალ პასუხებს არც თუ უბრალო საკითხებზე, რომელსაც ჩვენი დროება აყენებს. ოქტომბერმა საოცრად ინტენსიური გახადა ხალხთა ეროვნული ენერჯია.

ოქტომბრის შემდგომ ეპოქაში მოხდა უდიდესი მნიშვნელობის ძვრები ტექნიკის განვითარებაში. რადიო, კინო, ტელევიზია, მასობრივი ტირაჟების ლიტერატურა თავს გვატებს ინფორმაციის ქარიშხალს, რომლის ათვისება, გადამუშავება მეტად რთული ხდება. მოედინება ცოდნათა ახალ-ახალი ნაკადი. ჩვენი ეპოქის ნიშანდობლივი თვისება გახდა უჩვეულო შეფასებანი, უამრავი შთაბეჭდილებანი.

როგორი რთული ახალი ხარისხის კოლიზიებით არ უნდა ხასიათდებოდეს ოქტომბრის შემდგომი ეპოქა, სწორედ ამ ეპოქაში განთავისუფლდა ადამიანი, თავისუფლება კი არის აუცილებლობის შეგნება დეტერმინებულ სამყაროში.

ოქტომბრის ადამიანი ღია თვალებით უყურებს რთულ და თავისებურ ახალ სამყაროს. ის თავდადებულად იბრძვის ოქტომბრის დიდი საქმის განგრძობისა და განმტკიცებისათვის.

ვლ. გაბაბარიანი.



საუნჯე და საგანძური

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ძირიანად შეცვალა ჩვენი ქვეყნის განვითარების გეზი, გაამდიდრა კაცობრიობის კულტურა ახალი იდეებით და შენარსით, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა პროგრესული იდეების გამარჯვებას, კაცობრიობის მონაპოვარი კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგში გახალისა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მასების ნამდვილ საკუთრებად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი ყურადღება მიაქცია საბჭოთა კავშირში შექმნილი ერების ნაციონალური კულტურის ძეგლების დაცვას და მეცნიერული შესწავლის საქმეს. დიდი ლენინის თაოსნობით 1922 წლის 20 ივლისს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება, რომლის საფუძველზე საქართველოს გადაეცა საშუალო და საარქივო კოლექციები, ქართული ხელნაწერები, რომლებიც წაღებული იყო საქართველოდან მეფის მთავრობის მიერ. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე ლენინგრადის საქარო ბიბლიოთეკიდან, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმიდან მიღებული იქნა ძვირფასი კოლექცია ძველი ქართული ხელნაწერების, ისტორიული დოკუმენტების და სხვ. საქართველოს გადაეცა ძვირფასი კოლექცია ქართული მინაწერების, რომელიც ინახებოდა ბოტკინის კოლექციაში და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისტორიული მნიშვნელობის ამგვარი, რომელიც მოხდა 1946 წლის დანაწიების. საბჭოთა ქარების ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად საშაშუალო ომში, საქართველოს პარიზიდან დაუბრუნდა ის დიდი საშუალო განი, რომელიც წაღებული იყო საქართველოდან 1921 წელს, მენშევიკური მთავრობის მიერ საფრანგეთში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან დაძაბული მუშაობის შედეგად შეიკრიბა ქართული კულტურის, ხელოვნების, ძველი მწერლობის ძეგლები, რომლებიც დაცული იყო ქართული კულტურის ძველ საგანძურებში. ახლად შეკრებილი საშუალო კოლექციების რაციონალური განაწილების შედეგად 1984 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, რომლის კოლექციები ცნობილია როგორც საბჭოთა კავშირში, აგრეთვე უცხოეთში. საგრძობლად გამდიდრდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. რესპუბლიკის ყველა რაიონში ჩამოყალიბდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, რომელთა საქმიანობა ყოველდღიურად ფართოვდება.

ყველაფერი ის, რაც აქ მოკლედ იყო აღნიშნული, წარმოადგენს ქართველი ხალხის დიდ მიღწევას ჩვენი კულტურის მოვლის, დაცვის, მეცნიერული შესწავლისა და პროპაგანდის დარგში, ყოველივე ეს განხორციელდა საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებული მზრუნველობის შედეგად.

აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი

ჩვენი აწმყო და მომავალი

მრავალი საუკუნის განმავლობაში ცხოვრობს და მოღვაწეობს ქართველი ხალხი. თავისთავად ცხადია, ახეთი ხალხის ისტორიაში ორმოცდაათი წელიწადი — ეს მხოლოდ ერთი წუთია. ვისაც ახსოვს რევოლუციამდელი დრო, როცა საქართველოს სახელი რუკაზეც კი წაშლილი იყო და ქართველებიც „ტუზემცებად“ იწოდებოდნენ, მას, განცვიფრებულს, არ შეუძლია არ აღიაროს, რა სასწაული მოახდინა დიდი ოქტომბრის ქარიშხალმა, რომელმაც არამცთუ დაამხო ძველი წყობილება, არამედ განთავისუფლებულ ხალხებს შემოქმედებითი სული ჩაბერა, ააშენა უძლიერე, მდიდარი, თანამედროვე უზარმაზარი სახელმწიფო, ხალხთა ძმური კავშირი, რომელიც პროგრესისა და ცივილიზაციის პირველი მდროშე გახდა, მოწინავე კაცობრიობის სათავეში მოექცა.

დიდი წარსულის მქონე ქვეყანას, საქართველოს ოქტომბრის რევოლუციამ განვითარების ახალი გზები დაუხსნა. ხალხს აეყარა ბორკილები, ქართველმა ხალხმა საკუთარ ხელში აიღო თავისი ბედ-იღბალი; ჩვენი მშობლიური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობით გაიფურჩქნა, აყვავდა ჩვენი ვილები, ბაღ-ვენახები, აგუგუნდნენ ვეიბერთელა ქარხნები, მიდროსადგურები, გამშენიერდა და გაფართოვდა ჩვენი დედა-ქალაქი და ბევრი სხვა ქალაქი, დაბა თუ სოფელი.


სხვათა შორის, საჭიროა აღინიშნოს, რომ, როდესაც ამ ორმოცდაათი წლის წინათ ჩვენმა მოწინავე მოღვაწეებმა საკითხი დასვეს თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსების თაობაზე, ჩვენ მიწა-წყალზე შემორჩენილი ზოგიერთი შავრაზმელი ჩინოვნიკი სისინებდა — კიდევ რომ ასწავლონ ისტორიის თუ ფილოლოგიის დარგები უნივერსიტეტში,



როგორ შეუძლიათ მათ ზუსტი მეცნიერებანი განავითარონ, როგორც მათემატიკა, ფიზიკა ან სხვა ამგვარი დარგით, როცა მათ (ესე იგი ჩვენ, ქართველებს) არავითარი ტრადიცია არ გააჩნიათ და არც უნარი აქვთ ამისიო. სინამდვილემ გააქარწყლა ჩვენი მტრების ეს „პროგნოზი“. საბჭოთა საქართველოს ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში წარმოიშვა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის და მონათესავე დარგების მძლავრი კერები, რომელთაც საბატიო სახელი მოიხვეჭეს, არამცთუ საბჭოთა კავშირში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

ცხოვრება სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ, განსაცვიფრებელი ტემპებით ვითარდება მეცნიერება, ტექნიკა, მატერიალური კულტურა, ადამიანის სულიერი სამყარო მდიდრდება, ინერგება ახალი ტრადიციები. ამიტომ არის, რომ მართლაც დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც მოწოდებულია მომავალი ათეული წლების მანძილზე წინ გაუძღვოს ჩვენს ქვეყანას. ქართველი ახალგაზრდა არა მხოლოდ წარსულით უნდა ამყარდეს, არამედ წინ უნდა იყურებოდეს იმ რწმენით, რომ ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ ჩვენს ხალხს გზა გაუხსნა უფრო ლაშაში, მშვენიერი, უფრო წარმატადი და მდიდარი საქართველოსაკენ.

აკადემიკოსი მკბენი ხარაძე



ქართული ეროვნული მეცნიერების ყველა დარგი არჩვეულებრივი წარმატებით ხვდება ოქტომბრის სახელოვან ორმოცდაათი წლისთავს. გადავავლებთ რა თვალს განვლილ გზას, ჩვენი გული სიამაყით ივსება; შედარებაც კი ძნელია იმისა, რაც ნახევარი საუკუნის წინ გვქონდა და რაც

დიდი და კეთილი მიზანი

ამჟამად გვაქვს. ეს ითქმის ყველა მეცნიერებაზე და კერძოდ ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიაზე.

მე მახსენდება 1921-1922 წლები, როცა ამოქმედდა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორია. უკვე იმ ხანებში გერმანულმა ურნალმა გამოაქვეყნა პირველი ნაშრომი ამ ლაბორატორიიდან. მომდევნო წლებში, კერძოდ 1928-1927 წლების მანძილზე ჩვენი ლაბორატორიის შრომები იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

1988 წელს თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც 1941 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

სისტემაში იმყოფება. ამ ინსტიტუტის მრავალრიცხოვანმა მეცნიერ-მუშაკთა კოლექტივმა იმდენი ახალი პრობლემა შეისწავლა და იმდენად მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო და შემდეგ გამოაქვეყნა, რომ დღეს ეს ინსტიტუტი ფიზიოლოგიური კვლევის უდიდეს ცენტრად ითვლება საბჭოთა კავშირში. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მუშაობის გასაცნობად ყოველ წელს ჩამოდიან, როგორც რუსეთიდან, ისე უცხო ქვეყნებიდან მრავალი დიდად ცნობილი ნიერო-ფიზიოლოგები.

უკანასკნელ წლებში როგორც ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, ისე უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორია თავის კვლევის უმთავრეს

პრობლემად სთვლის ფსიქონერვული მოქმედების უმაღლესი სფეროს — მეხსიერების შესწავლას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ინსტიტუტური მოქმედების ფიზიოლოგიური, სტრუქტურული და ბიოქიმიური საფუძვლების გარკვევაში ჩვენი ერთ-სულლოვანი კვლევა-ძიება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

ჩვენს მეცნიერებას დიდი და კეთილი მიზანი ამოძრავებს — მოუტანოს სიკეთე ადამიანებს, მთელ ხალხს, მთელს ჩვენს დიდ სამშობლოს; ეს გვაძრავებდა ჩვენ ურდამ და დღესაც ამ გრძნობით მინდა მივულოცო დიადი დღესასწაული ჩვენს ძლევა-მოსილ საბჭოთა ხალხს.

აკადემიკოსი ივანე ბარბაქაძე

დიდი ოქტომბერის პირველივე დღეებიდანვე აღტაცებით მიესალმნენ მსოფლიო ლიტერატურის უბრწყინვალესი ოსტატები, კეთილშობილური ჰუმანიზმის დიდი მოციქულები — რომენ როლანი და ანატოლ ფრანსი, ანრი ბარბიუსი და თეოდორ ღრაიზერი... ამით მათ გამოხატეს მთელი მოწინავე კაცობრიობის მოქიბი და მისწრაფება, ლენინის სახით მათ დაინახეს აღამიანი, რომელიც მოვიდა მშრომელი კაცობრიობის სახსენლად, რომელმაც შექმნა პარტია, მასების ნამდვილი მეთაური და დამარბმველი; მისი სახით დაინახეს ბრძენი, რომელიც სათავეში ჩაუდგა პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს და წარმართა იგი ნათელი მომავლისაკენ.

„ათი დღე, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება“, ასე უწოდა შესანიშნავმა ამერიკელმა მწერალმა ჯონ რილმა თავის წიგნს; ამ წიგნში მან გადმოსცა ოქტომბრის დღეების ზუსტი მატანე.

ჯონ რილი ამ წიგნში წერდა: „რუსეთმა, რომელიც შუასაუკუნეებიდან ერთი ნახტომით გადაეშვა XX საუკუნეში, სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში მოუვლინა განცვიფრებულ მსოფლიოს ორი რევოლუცია — პოლიტიკური და სოციალური“.

მას შემდეგ ორმოცდაათი წელი გავიდა. და ახლა ამ ორმოცდაათი წლის იუბილეს საზეიმო, მღელვარე დღეებში ძალაუნებურად გვახსენდება როგორც ჩვენი მტრების ცრუ „წინასწარმეტყველებანი“ საბჭოთა ქვეყნის „სულ მალე დაღუპვის“ შესახებ, ისე მეგობრების გულწრფელი სურვილები, მათი აღტაცება, მათი რწმენა, რომ ოქტომბრის საქმე უძლეველია.

ჩვენ ხალხს კარგად ახსოვს, თუ რას უქადდნენ ჯერ კიდევ ნორჩ საბჭოთა რესპუბლიკას ჩერჩილი თუ პუანკარე, ვილსონი თუ პილსუდესკი, მაგრამ ისტორია ჩვენს მხარეზე იყო; შრომასა და ბრძოლაში, წარმატებებსა და წარუმატებლობებში ჩვენი ხალხი მუდამ გრძნობდა მილიონობით მეგობრის მხარდაჭერას და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ არ აღსრულებულიყო მტრისა და არაკეთილმოსურნეთა ილუზიები.

საბჭოთა ხალხმა პირველმა მისცა ჩაგრულ ხალხებსა და კლასებს რევოლუციური ბრძოლების მავალითი, პირველმა შექმნა მიწაერი, თავისუფალი და განათლებული საზოგადოება, მან თავის მხრებზე გადაიტანა მეორე მსოფლიო ომის სიმძიმე და ბოლო მოუღო ფაშისტურ ურჩხულს, საბჭოთა აღამიანებმა პირველებმა შეადგეს უსახლგრო კოსმოსის კარი; და ახლა, ბევრი მათგანი ვინც ჩვენს მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყო, ცდილობს დაუკვირდეს ჩვენს ცხოვრებას, შეიცნოს ის უჩვეულო, „იდუმალუბით მოსილი“ ძალა, რომელმაც ხის კავიანი და ქალამინიანი ქვეყანა მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოდ გადააქცია; ისინი ცდილობენ გამოიხატონ საერთო ენა, ითანამშრომლონ ჩვენთან. ცნობილი დასავლეთგერმანელი საზოგადო მოღვაწე, პატარაი პერბერტ მოხალსკი თავის სტატიით „ოქტომბრის რევოლუცია და გერმანია“ წერს:


„საბჭოთა საზოგადოებამ, წარმოქმნილმა 1917 წელს, უდიდეს შედეგებს მიღწია. ჩამორჩენილი ქვეყნიდან, რომლის მოსახლეობის სამოცდათხუთმეტი პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, გლეხური ქვეყნიდან, რომელიც იმყოფებოდა მემამულეთა და ფაბრიკანტთა უდიდეს ქვეშ, ომით გაპარტახებულ, ნახევრად მშვიერი ქვეყნიდან, რუსეთი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, სადაც უემოლბულია განათლების ყველაზე მოწინავე სისტემა, სახელმწიფოდ, სადაც ყველა აღამიანი თანასწორუფლებიანია და უზრუნველყოფილია სამუშაოთი“.

„ჩვენ უნდა მჭიდრო კავშირი დავამყაროთ საბჭოთა რუსეთთან, — განაგრძობს მოხალსკი, — დავამყაროთ კეთილშობილური ურთიერთობა, ვითანამშრომლოთ მასთან მშვიდობისა და თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე. ისტორიამ დაგვიმტკიცა, რომ სხვა გზა ჩვენთვის საკმაოდ სარისკო და არაგონივრულია“.

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს ქვეყანას ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და მთელი რიგი ფირმების კონსულტანტი მრეწველობის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის დარგში რიჩარდ მორსი და, მისი თქმით, აქ „ბევრი საინტერესო და ჭკუის სასწავლებელი“ აღმოაჩინა.

„თუ ვილაპარაკებთ საბჭოების შედარებით პროგრესზე, — წერს რ. მორსი ჟურნალ „უნიტედ სტეტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტში“, — მე უბრალოდ განცვიფრებული ვიყავი. მე მგონია, ამერიკელებს აქვთ ტენდენცია ჩათვალონ მეცნიერება და ტექნიკა რაღაც ისეთ უნიკალურ ცხოველად, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში ბინადრობს... ციმბირის ერთ-ერთ ქალაქში, რომელიც ჩვენ მოვიხატულეთ, 400 კაცი აწარმოებს მათემატიკურ გამოკვლევებს გამოსათვლელი მანქანების პროგრამირების სფეროში. რაც შეეხება განათლების სისტემას, რუსები ასრულებენ კარგად დაპროექტებულ სამუშაოს, და პოტენციალურად ეყოლებათ უფრო მეტი ტექნიკურად მომზადებული სპეციალისტები, ვიდრე ჩვენ“.

„მე ვთვლი, — განაგრძობს შემდეგ რიჩარდ მორსი, — რომ შეერთებულმა შტატებმა, თავიანთი სურვილის საწინააღმდეგოდ, უფრო საკუთარი თავის ოზოლირება მოახდინეს მსოფლიოსაგან, ვიდრე რუსეთისა. შეუძლებელია ტექნიკური პროგრესის ნიადაგის შეკავება. შეიძლება შეანელო მისი მდინარება, მაგრამ შეჩერება არავის ძალუძს. გარკვეული აზრით, კომუნისტურ ქვეყნებში განსაზღვრული საქონლის ექსპორტის შეზღუდვის შესახებ არსებული ჩვენი კანონების მოქმედების წყალობით რუსები იძულებულნი გახდნენ განვიტარებინათ აუცილებელი პროდუქციის საკუთარი წარმოება. ახლა ისინი სრულიად



საქართველო
საბჭოთა კავშირი

ქვეყანა

დამოუკიდებელი გახდნენ. ჩვენი ინტერესები მოითხოვენ, ანგარიში მივცეთ საკუთარ თავს, რომ საბჭოებს შეუძლიათ აწარმოონ ყველაფერი, რის წარმოებასაც ახერხებენ შეერთებული შტატები“.

და ბოლოს, მორსის არ შეუძლია არ აღიაროს იმ მშენებლობათა გრანდიოზულობა, რაც წარმოებს საბჭოთა კავშირში ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

„ისინი აშენებენ ბინების გიგანტურ რაოდენობას, — შენიშნავს მორსი, — რათა აღამიანებს ჰქონდეთ საკუთარი საცხოვრებლები; ამასთან ერთად, ისინი თავს არ იზოგავენ მაღალინდუსტრიული და მეცნიერულ-ტექნიკურად მოწინავე საზოგადოების შესაქმნელად. ჩემის აზრით, საბინაო პრობლემას რომ გადაწყვეტენ, ისინი შესძლებენ უფრო უდიდესი წარმატებების მიღწევას სხვა დარგებშიც, როგორცაა სოფლის მეურნეობა, პლასტმასების, ქიმიკატებისა და ავტომობილების წარმოება“.


ამერიკულ ჟურნალ „კარენტ ბისტორის“ ერთ-ერთ ნომერში, რომელიც მთლიანად მიეძღვნა საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავს, ეკონომიკის პროფესორი მარშან გოლდმენი წერს: „საბჭოთა კავშირის ყველაზე დაუნდობელი კრიტიკოსიც კი უნდა დაეთანხმოს იმას, რომ სსრ კავშირმა შეძლო განუვითარებელი ქვეყანა გადაეცია უაღრესად ინდუსტრიალიზებულ საზოგადოებად. საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად აშხადებენ მეტ ინჟინერს, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, კოსმოსური კვლევისა და სამხედრო ტექნიკის ბევრ დარგში და მრეწველობის მთელ რიგ დარგებშიც კი რუსებმა გაუსწრეს შეერთებულ შტატებს“.

უდიდესმა მიღწევებმა და სამუშაოთა მასშტაბებმა, რომლებითაც საბჭოთა მეცნიერება ხდებდა ოქტომბრის 50 წლისთავს, მთელს მსოფლიოში ჰპოვეს აღიარება. ამაზე ახლა უღრმესი პატივისცემით ლაპარაკობს დასავლეთის პრესის ბევრი დიდად გავლენიანი ორგანო. მას შემდეგ, რაც ამს წინათ ჩვენი ქვეყნის უდიდეს სამეცნიერო ცენტრებს ეწვია ინგლისელ მეცნიერ-მიომხილველთა ჯგუფი, ლონდონის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა სტატიები, რომლებიც მოუთხრობენ მკითხველებს სსრ კავშირში სამეცნიერო-საყველვი სამუშაოების კოლოსალურ მასშტაბებსა და კაპიტალისტური სამყაროსათვის უჩვეულო ზრუნვასა და ყურადღებაზე, რომლითაც გარემოსილი არიან საბჭოთა მეცნიერები. აი რას ვკითხულობთ ერთ წერილში, რომელიც გამოქვეყნებულია ინგლისის ერთ-ერთ ყველაზე კონსერვატულ გაზეთ „დეილი ტელეგრაფში“ და რომელსაც ხელს აწერს ანჟელა გრუმი:

„იმისათვის, რომ ჩამორჩენილი, გლეხური ქვეყანა გადაქცეულიყო აყვავებულ ინდუსტრიულ გიგანტად — წერს ან. გრუმი, — სახელმწიფოს სკინდებოდა მეცნიერები. ეს ამოცანა შესრულებულ იქნა 50 წლის მანძილზე. ამჟამად მართო ციმბირში მუშაობს 40 ათასი მეცნიერი მუშაკი. ციმბირის აკადემიური ქალაქის მშენებლობის თანხები უტოლდებოდა ინგლისის ყველა უნივერსიტეტების წლიურ ბიუჯეტს, ერთად აღებულს (100 მილიონი გირვანქა სტერლინგი). უკვე ახლავე ამ სამეცნიერო ცენტრისაგან მიღებულმა მოგებამ სამშაგად გადააჭარბა გაწეულ ხარჯებს“.

ნახევარმა საუკუნემ, რომელიც გვაშორებს „ავროპას“ ისტორიულ გასროლას, თვალნათლივ დაანახვა მსოფლიოს, თუ რა შეუძლია ხალხს, რომელმაც ხელში აიღო თავისი ქვეყნისა და საკუთარი ბედ-იბლის გამგებლობა.

„განსაკვიფრებელი ქვეყანა! განსაკვიფრებელი ხალხი! — ვერ დაფარა აღტაცება ჩვენთან სტუმრად მყოფმა ფრანგმა ჟურნალისტმა ლუი მარშანმა, — ააგო ულამაზესი თანამედროვე ქალაქები და სოფლები; მისცა ხალხს განათლება, რწმენა და საკუთარი ღირსების გრძნობა, შექმნა მსოფლიოში უდიდესი სამეცნიერო ცენტრები, გახდეს უკიდევანო მიწის ამყვავებელი და კოსმოსურ უსახლგრობათა მპყრობელი, დაიმორჩილო ატომის ბუმბერაზული ძალა, და ყველაფერი ეს გააკეთო სულ რაღაც ორმოცდაათი წლის მანძილზე, რომლის თითქმის ნახევარი შემოსეულ მტრთა წინააღმდეგ ომებსა და ამ ომებით გაპარტახებული ქვეყნის აღდგენას მოანდომე — მართლაც რომ გიგანტური ძალისა და უღრეკი სულის პატრონი უნდა იყოს!“



პირობი ნაპროზილი

წუხელ ცუდად ეძინა ლევანს. დილითაც ადგილი ვეღარ ეპოვნა, ვერც საქმისათვის დაედო გული. უაზროდ აწყდებოდა აქეთ-იქით. მოხუცმა მწყემსმა მოსემ ერთხანს უცქირა ჭაბუკს და მერე ფერმის გამგეს უთხრა:

— არჩილ, შენი ჭირიმე, გაუშვი შენ ეგ ბიჭი, მაგის საცოდაობას ნუ მაყურებინებ!

— ჭერ მიხედოს თავის საქმეს და მერე საითაც უნდა იქით წავიდეს! — მკაცრად უპასუხა ფერმის გამგემ.

ზოოტექნიკოსს კი ფერმაში საქმეს რა გამოუღებდა. როგორც კი შეწითლდა ცა-სამზეური ჩათმის მთებზე, მწყემსებმა მაშინვე აშალეს საქონელი. დაბლობში ჭერ ისევ ბნელდა და ნისლი ნელ-ნელა აღნებოდა ივრის ვადმა-გამოდმა ფერდობებს. მწყემსები გასძახოდნენ ერთმანეთს, ლევანს ეძებდნენ; ყველას თავისი სადარდელი და საფიქრალი ჰქონდა და ის ავიწყდებოდათ, რომ დღეს მათი ზოოტექნიკოსი მათი აღარ იყო. წიფლისწყაროში ფეხბურთის მატჩი იმართებოდა, იქაური „მერცხალი“ მცხეთის „რიურაუსა“ ხვდებოდა საქართველოს თასის მეოთხედფინალზე და ლევანი იმ მატჩს რომ არ დასწრებოდა, ბოლმისაგან იქნებ ავადაც გამხდარიყო. ფერმის ზოოტექნიკოსი ფეხბურთის იმ ფანატორებს ეკუთვნოდა, რომელთაც ნუ ჰქმევ, ნუ ასმევ, ყველაფერს გაუძლებენ, შეურაცხებელია, ვადიბანენ, ოღონდ აცქირებენ მწვანე მინდორზე, იერიში იერიშს რომ მისდევს, ოღონდ ისხდნენ სტადიონზე, უფიქროსი ტანში ნაცნობი და სანეტარო ურუანტელი, უკულმა წაუკიდონ პაპიროსს ცეცხლი, რომ იქვე მიფშვნიტონ, მიაგდონ, ხმა ჩაუწყდეთ ბლავდისაგან, ხელისგულები დაეყუთოთ ტაშისცემისაგან.

ფეხბურთი რომ არა, ივრის ამ მიყრუებულ საძოვრებზე ტელევიზორს ვინ იცის როდის ჩამოიტანდნენ. ლევანმა კი იმდენი იწვალა, მაინც თავისი გაიტანა და ცისფერი ეკრანი შარშან პირველმა აანთო ჭაბუკაზე, აანთო მანამდე, ვიდრე ფერმებში ელექტრონს გაიყვანდნენ. მაშინ ჭერ ისევ აპრილი იყო, მაგრამ მაინც საგრძნობლად ჩამოცხა ელდარზეც და ტარიბანაზეც, ჩათმაშიც და ჭაბუკაზეც. კარგა ხანია ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ ფრინველები, მთელ ზამთარს აქ, ცხვრისა და ძროხის ბინების ახლოს რომ ბუდობდნენ; მათს ნაცვლად მოფრინდნენ მაღალური და ღაღაღა, მწყერი და სარხარაკი, ახალი ბუდეები გაიკეთეს და თავიანთი ხმაურით აავსეს საძოვრები; შეცხვარებები აიყარნენ და თრიალეთისაკენ წავიდნენ, აქაურობა მეძროხეებს დარჩათ; ერთხელ, ნაშუადღევს, საქონელი რომ ჩრდილოში დაეყარა და მწყემსებმაც თავისუფალი დრო იპოვნეს, თავიანთ ზოოტექნიკოსს შემოუსხდნენ. ლევანს გაზეთი გაეშალა და კითხულობდა:

— რაო, ბიჭო, რასა სწერენ? ომი იქნებაო? — ჰკითხა მოსემ ზოოტექნიკოსს.

— არა, არ იქნებაო! — ჩაიბურღლუნა ლევანმა. — მაშ რა იქნებაო?

— აბა რა ვიცო, — უპასუხა ლევანმა და ისევ გაზეთს ჩახედა, თვალი მოჰკრა პატარა დეპეშას: — ყურძნის მკრეფავები გაფიცულან კალიფორნიაში, ნახევარი მილიონი კაცი!

— ჯოო! — წამოიძახა ახლგაზრდა მწყემსმა მიტომ.

— რა გაგვიკრდა, ბიჭო? — ჰკითხა ლევანმა.

— რა დროს ახლა რთვლია? — ისევ გაოცებით იკითხა მიტომ.

ლევანსაც ახლა გაახსენდა, რომ აპრილი იყო, ფერმის ვადამა, ივრის პირას, ტყეში იძახოდა ოფოფი, იღვა აპრილი და გააფხულო.

— იქნება ძველი გაზეთია? — ჩაერია საუბარში მოსე.

— რვა აპრილი აწერია, გუშინ ჩამოიტანა არჩილმა წიფლისწყაროდან!

— ეგ კალიფორნია სად არი, ბიჭო? — იკითხა მოსემ.

— ამერიკაშია

— მერე და ახე სწერია, გაიფიცდნენო?

— აბა, შენი თვალთ წაიკითხე: ვაშინგტონი, რვა აპრილი; კალიფორნიელმა ყურძნის მკრეფავებმა, რომელთა რიცხვი ნახევარ მილიონს უდრის, ახალი მოთხოვნილება წარუდგინეს ვენახების პატრონებს; მათ უარი უთხრეს ხელფასის მომატებაზე...

— თუ გინდა გაიფიცე, გინდა გამაფიცე, ჭერ საქრეფი ყურძენი სად არის! — თქვა მიტომ.

— ეს კაპიტალიზმის კანონებით აიხსნება! — მცირე ფიქრის შემდეგ თქვა ზოოტექნიკოსმა.

— კაპიტალიზმი მანდ რა შუაშია! — წამოიძახა ისევ მიტომ.

— იმ შუაშია, შვილო, — უპასუხა მოსემ, — რომ ეგენი მეკალიფორნიელი იქნებიან. შენი ხნისას მეც მეკალიფორნიელი მერქვა. მერე როდის არის კალიფორნიის ზოოტექნიკოსი. ჩვენ კი ადრე გააფხულოზე გავურიგდებოდით ხოლმე ხაზეინებს, ვიწყებდით საქმეს და ზამთრის პირზე ვათავებდით. ეგენიც ისე ყოფილან, წინათ ჩვენ რომ ვიყავით.

— სწორია, ეგერა! — დაუდასტურა ზოოტექნიკოსმა, — კალიფორნიელები ვენახს მთელი სეზონით იღებენ, გააფხულოდან დაკრეფამდე! მოიცა, მოიცა! ჩვენებს უკვე სია წარუდგინათ, ვინ და ვინ უნდა წავიდნენ ლონდონში!

მოჰკრა თუ არა თვალი ამ ცნობას, ლევანს უკვლავი დაავიწყდა; სია უკვე წარუდგინათ, მსოფლიო ჩემპიონატი ახლოვდება და მას კი ჭერ ხელიც არ გაუნძრევია. იმავე საღამოს შეკაშმა ცხენი და პატარა შირაქის ჭაბურღილების კანტორისაკენ გასწია.

მეორე საღამოსაც იქით გაუწია გულმა ზოოტექნიკოსს. საქნავის იქაური კანტორის მმართველს ისე გაუწვალა გული, რომ ის იძულებული გახდა დაჰპირებოდა დენს მოგცემო. მაგრამ დენს როგორ წაიღებ. ღვინო ხომ არ არის, ტიკი ჩაახსა, თავი წაუტრა და ცხენს აჰვიდო. კაბელიც უნდა გვათხოვოთ, იმდენი იხვეწა, განათების ორძარვა კაბელიც ათხოვეს, ბოძების ჩახმაზე არც კი უფიქრია ვისმეს, კაბელი პირდაპირ დააგდეს მიწაზე და ფერმა ჭაბურღილებთან შეაერთეს. ასე აპრილმა ეკრანი ჭაბუკაზე.

აპრილმა და ამასობაში ივლისიც დადგა, დაიწყო ზაპარზე უკეთესი ჯადო და სიზმარი. ისე გასცქეროდნენ რაც ცხრა მთას და ცხრა ზღვას იქით ხდებოდა, თითქოს თამაში აგერ აქვე; ივრის ფშანებში ყოფილიყვნენ. მწყემსებმა მაშინ არა ერთი მატჩი ნახეს და ლევანი იმ დღეებში სულ ვაბრუებული დადიოდა. იქდა კუნძუზე ეკრანის წინ და აქ აღარ იყო, ირგვლივ თითქოს ვეღარავის ხედავდა; აღარ იყო არც იორი, არც ჩათმის მთები, იყო მარტო შორეული, ნისლიანი ლონდონი და იქ სათამაშოდ ჩასული ჭაბუკები დედამეწის ყველა კუთხიდან. მწყემსებს ყველაზე ძალიან ის უკვირდათ, რომ რა თამაშიც უნდა ყოფილიყო, რომელი ქვეყნის გუნდებიც უნდა გამოსულიყვნენ, მათი ზოოტექნიკოსი იცნობდა სუყველას, ყველა მოთამაშის სახელი იცოდა, ისიც კი იცოდა, ვინ რამდენი წლისა იყო, თითქოს მისი შინაურები არიანო. ხან უხაროდა, ხან სწუხდა, ყველაფერი გულთან მიჰქონდა; მწყემსებს ყველაზე ძალიან ის გაუკვირდათ, რომ მოედანზე ერთი წვერიანი კაცი თამაშობდა. იმასაც იცნობდა ლევანი, ყერმანო ჰქვი-

ანო, მთელი თამაშის დროს მწყემსები სულ იმ წვერიანს უყურებდნენ.

მერე, ჩემპიონატის ბოლოს, ლევანი მოღუშული შესცქეროდა ეკრანს, სადაც ლანდებივით კროდნენ ბრიტანეთის დედოფალი, თასი რომ გადასცა ბობი მურს, ედინბურგის ჰერცოგი, პრემიერ-მინისტრი ვილსონი, მწვრთნელი ალფ რამსეი და დეკარგული თასის მპოვნელი ცუგო, რომელიც ხალხის ურამულზე წამდაუწუმ აქიციებდა თავის წოწლოკინა კუდს და თვალეში შესცივანებდა თერმეტ ჭაბუკს, უკვავების დაფნით შუბლ-შემკობილს.

ლევანმა არ იცოდა სანახევროდ სიყვარული და სანახევროდ გატაცება. ის თავისი საქმის ძალიან კარგი მცოდნე იყო და სანტერესო ექსპერიმენტებსაც ატარებდა; მისი ფერმის საქონელი მუდამ გამოირჩეოდა — ჭანიანი და ბეწვდაზინებული იყო. იორზე, ფერმაში ლევანს თავისი პატარა ლაბორატორია ჰქონდა; როცა მან ზუსტად განსაზღვრა, რომ ზრდისათვის აუცილებელი ცილა კამეჩის რძეში უფრო მეტია, ვიდრე ძროხისაში — ხბორების კვება კამეჩის რძით დაიწყო. ცდაზე დაყენებულმა ხბორებმა საოცრად მოიმატეს; ჩვეულებრივთან შედარებით, თითქმის ას-ასი კილოთი მეტს იწონიდნენ; როცა გაიზარდნენ და ფურებად იქნენ, რძეც გაცილებით მეტი მოიწვედნენ. ლევანს დიდად ემაღლიერებოდნენ, მთელ რაიონში მაგალითად ჰყავდათ, ერთხელ მისი გვარი რაიონის პირველი მდივნის საანგარიშო მოხსენებაშიც კი მოხვდა. მაგრამ ეს ერთი ცული ზნე სჭირდა ჭაბუკს: როცა წიფლისწყაროს „მერცხალი“ აგებდა, მოიღუშებოდა და თავის ხასიათზე აღარ იყო.

ჰოდა, დღეს გადამწყვეტი მატჩი იმართებოდა, ლევანს წინა დღითვე აუკვირია ინგლისური საფეხბურთო მელლოდა, მაგრამ ერთი ეს იყო, მის ღვინოში „ვილი-ვილი“, ცოტა არ იყოს, ქართულ დელი-დელას ჩამოგავდა:

ჰუ იზ ფუტბოლ ფადერ
იუ ვილ ნოუ ჰიზ ნიმი...!

მალე გაიგებთ მის სახელს, მალე, დღეზე გაიგებთ, ნაშუადღევს... არა, წაუსვლელია არ იქნება... დრო კი მიდის, მზემ უკვე საქაოლ მაღლა წამოიწია ცაზე. ფერმის გამგემ კი, თითქოს ჭიბრ-ზეაო, ათასი საქმე გამოუჩინა. შეღონებულმა ჭაბუკმა, როგორც იყო, სახელდახელოდ მოაბა ყველაფერს თავი და არჩილისაკენ გასწია — ის იყო უნდაც თხოვნა, ახლა მაინც გამიშვიო, მაგრამ ფერმის გამგემ დაასწრო, მისკენ მომავალი ბიჭისათვის არც კი შეუხედავს, ეზოში გაიხედა და დაიძახა:

— აბრია მონახეთ, აბრია! ცხენი აურჩიოს ზოოტექნიკოსს...

ბებერია მეჭოგე აბრია, როდის დაიძვრება ადგილიდან, ან რომელ ცხენს აურჩევს!

— მოიცა, მე თვითონ, — დაიძახა ლევანმა და თავლისაკენ გაქანდა, უნაგირი გამოარბენინა, სულ მალე მწყემსმა სამი წლის გათქვირული ჩაღისფერი იაზო მოგვარა; ლევანმა შეკაშმა და ჭენებით გაიყვანა ფერმის ეზოდან, წიფლისწყაროს გზას დაადგა.

* „ვინ იქნება ფეხბურთის მამა, თქვენ მალე გაიგებთ მის სახელს“. დასაწყისი სიმღერისა „ვილი“, რომელიც ინგლისელებმა შეჰქმენს მერვე მსოფლიო ჩემპიონატისათვის.

* * *

ცხენოსანი ჰაქუნას რომ გამოსცდა, დაიწყო თრიშლითა და ღვით სავსე დაბურული ხეობები; წინათ თითქოს არც ისე გრძელი იყო ეს გადასასვლელი; ახლა კი როგორ გაიწვია რეზინივით! ყუ-შისხვეთან რომ გამოვიდა, რაღაცამ გაიშლივინა ბუჩქებში, ცხენმა დაიფრუტუნა, დაფრთხა და უალყუე შედგა. კარგი ცხენოსანი იყო ლევანი, მაგრამ მაინც კინაღამ ყირაზე წამოვიდა, ისე იყო ფიქრში გართული. შევლამ გადაურბინა გზაზე და იმან დაუფრთხო ცხენი.

— შენ გაგაწვრა ღმერთი, შე ეშმაკის ფეხი! — ლევანს ეს ცუდად ჰქონდა დაცდილი.

ტყიანი ხეობა გათავდა და დაიწყო ტარიბანას ტრიალი მინდორი, აქედან ნიხურაზე გადავა, მერე ქვიშაწყალზე გადავიდის, მერე ელიას მალ-ლობები და წიფლისწყაროც გამოჩნდება.

ცხენის უშნოდ და უხეიროდ ტარება ნუ იცითო, სულ ამას აყვირებდა ლევანი ფერმის მწყემსებს. თუ რაღაც განსაცდელი არ არის და მომავლადის ხაზველად არ მიისწრაფვი, არ შეიძლება მუდამ ნა-ვარდით ატარო, ალური მუდამ დროზე უნდა შე-უცვალო, ხან ჩორთზე გადაიყვანო, და ხან ნაბიჭ-ზე. თვითონ კი იმ დღეს დაავიწყდა თავისივე შეგო-ნებანი, ტარიბანა კარიერით გადმოსჭრა და ჩაღის-ფერი იაბო ნაბიჭზე მარტო მაშინ გადაიყვანა, რო-ცა ელიას მალლობები დაიწყო.

აგერ, დაბლა, ფერდობში, სახლებს ვერც კი გა-მოარჩევს კაცი, მწვანეში მარტო სახურავები ჩანს, წითელი, მწვანე, ფოლადისფერი სახურავები და ცისფერი აივნები. უნდა მოჭუტო თვალს, ისე, რომ ამ შუადღისას ოდნავ თითქოს ჩამოხეილად და ისინი იქცევიან დიდ ყვავილებად, აჭრებულ მდელოდ და შუაში ვეება მწვანე სტადიონი გამოჩ-ნდება.

არწივის თვალი ჰქონდა ლევანს, ელიის მალლო-ბებიდანვე დაინახა, რომ სტადიონის სავსე იყო ხალხით, მაგრამ თამაში დაწყებული არ იყო. მი-უსწრებს, ეჭვი აღარ არის, მიუსწრებს.

და იაბო ნაბიჭიდან ისევ ჩორთზე გადაიყვანა.

* * *

ლევანს თავისი აჩემებული ადგილი ჰქონდა სტა-დიონზე — ზუსტად ცენტრის ხაზის გასწვრივ. ადგილი კარგი იყო, მაგრამ ცოტა სახიფათო; იქ-ვე, სულ ახლოს რაიონის ხელმძღვანელები ისხდ-ნენ და არ უნდოდა მათ დაენახათ. რაიკომის მდი-ვანმა ერთხელ თათბირზე თქვა — რამდენი სექტაკ-ლი გაიმართება დაბაში, რამდენი მატჩი თუ საეს-ტრადო კონცერტი, მთელი ხალხი რომ დაიძრას ფერმებიდან და აქ ჩამოვიდეს, საქონელს ვინდა მოუვლისო. მსახიობებს მანდ გამოგვიწავნიოთ, მაგრამ ფეხბურთის გუნდს როგორ გავწავნი იორ-ზე!

ლევანმა ფრთხილად გაიხედა, უფროსები დაინა-ხა და გაინახა, მაგრამ მათ მისი თავი როდის ჰქონ-დათ, თვითონაც მოუთმენლად ელოდნენ მატჩის დაწყებას. ზოტქნიკოსმა სული მოითქვა, სიგა-რეტი გააბოლა და ის იყო მსაჯის სასტვენის ხმაც გაისმა, გუნდებს მოედანზე იძახებდნენ.

ჭერ წიფლისწყაროელები გამოვიდნენ მწვანე მინდორზე, აქა-იქ კანტიკუნტად დაუქრეს ტაში. მერე გამოჩნდნენ სტუმრები და მოხდა მოულოდ-ნელი რამ: უცებ გადაირია მთელი სტადიონი. მორ-ბოდნენ მცხეთელები და შეხარბოდა მათ ხალხი, მი-ენახლებოდა, შესცივოდა, შორიდან ესიყვარულე-ბოდა, სწორედ ისე, დედა დიდი ხნის უნახავ შვილს რომ მოეფერება.

— ეშლებათ თუ რაშია საქმე? — გაიფიქრა შეც-ბუნებულმა ლევანმა, — თავისიანები ვეღარ უცვი-ნიათ?

დაიწყო თამაში, პირველ ათ წუთში ფალანგება შორიდან ამოწმებდნენ ერთ-მეორეს, ზვირავენენ, მეთერთმეტე წუთზე მასპინძლების მარცხენა ჰარე-მარბი ელგუჭა ალადაშვილი უეცრად გაიჭრა წინ, დაუსხლტა მცხეთელების დამცველებს, თითქოს ისეთი შთაბეჭდილება იყო, რომ ბურთი ხაზს იქით მიუბრბოდა, მაგრამ ელგუჭა ელვის სისწრაფით და-ეწია და კარისაკენ ჩააწოდა, აქ ბურთს მასპინძელ-თა ცენტრფორვარდმა ნოდარ ყოჩიაშვილმა დაარტ-ყა, გადახტა მეკარე, მაგრამ წამით დაავგინა და ბურთი მცხეთელების ბაღში გაეხვია.

ყველამ შეამჩნია, რომ მცხეთელების მეკარე ჩვეულებრივზე მეტ ხანს ეგლო მიწაზე, ისე რომ, ზოგმა გაიფიქრა კიდევ—ხომ არაფერი იტკინაო. მაგრამ არა, მეკარე ნელ-ნელა წამოვდა.

თვითონაც არ ახსოვს როდის წამოხტა ლევანი, არც ის ახსოვს რა დაიძახა, არც ხმა მოუწოდავს, მაგრამ უცნაური რამ მოეჩვენა: მარტო მას უხა-როდა, მარტო ის წამოხტა და ამ სიხარულში ის მარტო იყო — სტადიონზე მკვდრული სიჩუმე იდ-გა.

და იმ სიჩუმეში ლევანის ყურს ბრაზით ნათქვამი სიტყვები ჩაესმა:

— დაჭე ერთი, თუ ძმა ხარ... აყუდებულა იმასა-ვითი.

სხვა დროს ამის მთქმელს არ შეარჩენდა, მიუბ-რუნდებოდა და საკადრისს მოახსენებდა, მაგრამ ახლა პასუხის თავიც აღარა ჰქონდა. რაშია საქმე? ამ ხალხს შინაური და გარეუფე ვეღარ გაურჩევიათ? აგერ წიფლისწყაროელებმა პირველი ბურთი უკვე გაიტანეს და ამ ხალხს კი, არა მარტო სიხარულისა არა ეტყობათ-რა, სწყენთ კიდევ. სიწმარში ხომ არა ვარო, გაიფიქრა ლევანმა, იქნებ თამაში წიფ-ლისწყაროელები კი არა, მცხეთაშიაო. არა, მცხეთას აქ რა უნდა; უმწიოდ გახედა მიდამო, აგერ ცარცის ტიტყელი მთები, აგერ უზუნდარას ტყიანი გორა-კები... რის სიწმარი, ცხადზე ცხადია ყველაფერი...

„შე ხომ არ შემეშალა კარი“, ახლა ამ ფიქრმა გაუელვია... მიმოათვალიერა სტადიონი: თერთმეტ-სავე წიფლისწყაროელს ახლოს იცნობს, აგერ ალექსი, კარში რომ დგას, ზემოქვედელი ტრაქტო-რისტია, აგერ დამცველები — ტყუბი ძმები ტუ-ხაშვილები, დაბაში მცხოვრების არიან, აგერ ყოჩი-ანთ ბიჭი ნოდარ, ზემოკარდის კოლმეურნეობის მოანგარიშე, ბურთი მაგან არ გაიტანა! არა, არა-ფერიც არ მეშლება, მაგრამ...

თამაში კი თავის გზით მიდიოდა. ის იყო, წიფ-ლისწყაროელთა მარჯვენა გარემარბმა ძალზე უბერ-ხოდ და უგერგილოდ დაარტყა ბურთს, ავჯილზე ადგილი ბურთი იყო, მაგრამ მცხეთელების მეკარემ ისე ცუდად მიიღო, რომ ხელიდან დაუვარდა და კინადამ კარში შეგორდა. ბადის უკანა მხრიდან მცხეთელების მწვრთნელი წამოვიდა, სწრაფი ნა-ბიჭით მიუახლოვდა მეკარეს და უთხრა:

— გურამ, ძალიან ცუდადა ხარ, ბიჭო?
— არა, გავუძლებ... წელან თავი მიბრუოდა, გა-მიარა.

— გამოგვცდი, ბიჭო, ნუ ჭიუტობი!
— რომელ ერთს გამოსცვლი, ამ ათ კაცს რაღას უწამ... გავუძლებ როგორმე!

ლევანი ხედავდა ამას, შორს იყო და, ცხადია, ვერც გაიგებდა რაზე ლაპარაკობდნენ მწვრთნელი და მეკარე, მაგრამ ეს-ლა გაიფიქრა: „ნამდვილი ძუძუმწოვარა ყოფილა. ის მწვრთნელი რაღას მი-ვარდა კართან? ალბათ უწყობდა — ასეთი უბრალო

ბურთი როგორ ვერ მიიღო, მაგრამ მაგ დალოც-ვილს დროზე უნდა ეფიქრა. არ იცოდა ვის აყუ-ნებდა კარში?“

უცებ მოედანზე ისეთი ყუიწა ატყდა, რომ მწვრთნელმაც და მეკარემაც წინ გაიხედეს, მცხე-თელების თავდახმებულს ილო სესიაშვილს ბურთი წაეღო და მასპინძლების საჭარბოზე შეჭრილიყო... მთელი ხალხი შებყუიწებდა მას, ამხნევებდა. წა-მიც და ბურთი მასპინძლების კარის ბაღში გაეხ-ვია.

და დაიწყო რაღაც ეშმაკურ-ჭაჭური, სიწმარიით გაუგებარი, დაბურღული და აუხსნელი რამ: მთელ-მა სტადიონმა შეგებით ამოისუნთქა, ატყდა გაჭახე-ბული ტაში, ყრიაშული, შეძახილები და პატარა ბიჭებმაც ცაში მტარებები აუშვეს.

ასეთი რამ ლევანს არასოდეს არ ენახა. ხალხს თავისი საყვარელი გუნდის დამარცხება უხარია. მთელი წიფლისწყარო ტაშს უკრავს მეტოქეს, რე-მელმაც ანგარიში გაათანახა და გამარჯვება ლამის ხელიდან გამოაცალოს სახელოვან „მერცხალს“.

ლევანმა სახეზე ოფლი მოიწმინდა.

და ის იყო მსაჯის სასტვენის ხმაც გაისმა, პირ-ველი ტაში დამთავრებული იყო. მაყურებლებმა ტაშით გაცვილეს მცხეთელები.

* * *

ლევანი მძიმედ წამოვდა, მთელი სიამოვნება ჩაშხამებული ჰქონდა, უაზროდ გაიხედ-გამოიხედა აქეთ-იქით. უცებ გაიფიქრა—ეგებ ფიფამ გამოიტა-ნა რაღაც ახალი დადგენილება, რომ ქულეები მო-გებულს კი არა, წაგებულს ეთვლებაო. გაეცინა, ეს რა სისულელე მომივიდა თავშიო.

მაშ რაშია საქმე, მოდი და მიხვდი რა ხდება ამ სტადიონზე!

და ის იყო სარდიონი დაინახა, თავისი ძველი და განუყრელი ძმაცაი.

— სარდიონ, — უთხრა ლევანმა, — ერთო, თუ ძმა ხარ, გასინჯე! — და მაჯა გაუწოდა.

სარდიონმა მაჯაში ხელი ჩასტაცა, ერთხანს ეჭი-რა და მერე ეშმაკური ღმილით უთხრა:

— ჭერ კიდევ თბილი ხარ!
— ნამდვილად?
— ნამდვილად ცოცხალი ხარ. მაჯა მუშაობს.
— სიცხე ხომ არა მაქვს?
— არა, ნამდვილად ჯანზე ხარ!
— ახლა კი იფთქა ლევანმა და ღმილიც გაუჭრა სახეზე.

— მაშ თქვენ რა დაგემართათ? გაგჟღდით, გადაი-რიენით? რა წარმოდგენას აწყობთ აქ? ეს ამოდენა ხალხი მოგისყიდეს მცხეთელებმა, ჯადო გაგიკე-თეს, მოგნუსხეს, თუ რა ჭირად ნაცილია თქვენს თავს?

მღელვარებისგან ხმა უწყდებოდა.

— არაფერი არ იცი? — თვლები გაუფართოვ-და სარდიონს, — წიფლისწყაროში როდის ჩამოხ-ვედი?

— აი, თამაშის დაწყებას ძლივს მოვუსწარი!
— მოო, იმიტომაც არ იცი!
— რა უნდა მცოდნოდა, რა? სიყვარულის წამა-ლი დაგალევიწენს?
— დაგვალევიწენს მაში!
— ფუჭ, თქვენ... არ იტყვი რა მოხდა, შე მხე-ცო შენა!

— მოიცა ლევან, ნუ ცხარობი! — სარდიონი აშკა-რად განწრახ აჭიანურებდა, აგრძელებდა, სწელავ-და სიტყვას, ეტყობოდა სიამოვნება, რომ ერთი კაცი მაინც იპოვნა, რომელმაც არაფერი იცოდა

დღევანდელი ამბებისა, — ყველაფერს ახლავი გიტყვი, — და მინც არაფერს ეუბნებოდა.

— შიშხარი, ნუ გამოთავი — შეივდრა ლევანი.
— ახლავი გიტყვი... ჩვენ აი აქედან ვილოდით, ხელით უწუნდარიხაკვს უჩვენა სარდიონმა, — მაგრამ მცხეთელებს ავტობუსი თურმე წინაშე არ წამოსულიყო და ტბაზე ამოვივლო...

ერთი უცნაური ტბაა შირაქში — მლაშე, ბლანტი, მწარე, გოგირდიანი, უნაყოფო და უთევ-
წო.

არავინ იცის რა ამდებინებს მას ამდენ ხანს; არა-
ფერი მას არ ერთვის, პატარა ნაკადულიც კი, არა-
ფერი აქედან სათავსს არ იღებს; ტბა კი არც კლი-
ბულობს, არც მატულობს. ეს არის უკანასკნელი
მოწმე მიოცენის უსსოვარი ეპოქისა, უკანასკნელი
წვეთი სარმატთა უწარმაწარი წდვისა, მიოცენის
ბოლოს რომ დაიწრია და დატოვა აქ კირისა და
ცარცის მთები, ახლა ჩაგნართი რომ დაფარულან.
ვერაფერი მას ვერ გამოიყენებ, ამიტომ ტბის
სანაპიროები ბავშვების სატყუშმალოდ გადაქცი-
ულა.

იმ დილითაც, ამოიხედა თუ არა მწემ, ტბის სა-
ნაპირო ბავშვებით აივსო. უფროს დაძმებს პატა-
რებიც წამოხულოდნენ და მათი ქრამული იქაუ-
რობას იკლებდა. ტბის ახლოს, მინდვრის მივდის
ქობთან ფიცრები ეყარა. არავის ახსოვს იმ ბავშვ-
თა შორის რომელს მოუვიდა აწრად ფიცრებისაგან
ტივი შეეკრათ და პაწიები გაეხერხებინათ. გაჩაღ-
და ფიცხი მუშაობა; წნელით, მხრალით, ქამრებით,
ხაწრით, ლურსმნებით შეაკოწიწეს ტივი, დასხეს
წედ ბავშვები და ტბაში შეაცურეს. ერთმა ისიც კი
თქვა, შეიძლება დედფინები აქ ჩვენს ტბაშიც
იყვნენ და თუ რამე გაგვიბირდა, ისინი დაგვებმა-
რებინანო.

ბანიკა უცებ დაიწყო ტბაზე, ორი წლის ნათიამ,
ტბის მოლივლივი წედაბირს რომ დახედა, ჭავლმა
თვალი აუჭრელა და ტირილი დაიწყო — დედა
მინდაო. მალე სხვებსაც მოუწდათ დედა, უფროსე-
ბი დაიბნენ, კბტები უფრო სწრაფად ამოძრავეს
და სცადეს ტივი მოებრუნებინათ ნაპირისაკენ, მაგ-
რამ ვეღარ მოახერხეს... ის იყო, ტივი დაიშალა და
ბავშვებმა წყალში ფართხალი დაიწყეს, წოგი
ფიცრებს შერჩა, წოგი კი წყალმა უმაღ ჩაძირა.
ნაპირზე დარჩენილებმა ტირილი ატებეს, გზისკენ
გამოიქცნენ და ის იყო, ავტობუსიც გამოჩნდა.
შოფერმა უცებ დაამუხრუჭა მანქანა და მგზავ-
რებს მიუბრუნდა:

— ბიჭებო, რაღაც ცუდი ამბავია!
თოთხმეტეტი ჭაბუკი ერთად გადმონტა ავტობუსი-

დან, თვალის დახამამების უმაღ გაიძრეს ტანსაც-
მელი და წყალში გადაეშენენ. გამოიყვანეს ერთი,
მეორე, მესამე, სულ ხუთი ბავშვი. იქ მყოფებმა
ერთი კიდევ მოიპოვეს, ისე გადახტნენ ჭაბუ-
კები წყალში და ერთის ნაცვლად ორი ბავშვი
ამოიყვანეს ტბიდან.

— თავით ფეხებამდე გაწუწული ჩამოვიდნენ,
— ჰყვებოდა სარდიონი, — ჯერ ხეირიანად არც კი
გამშრალან. წედან ვერ დაინახე რა დაემართა მცხე-
თელების მეტარეს? უბრალო ბურთი ძლივს მი-
იღო! მას რა მოუვიდაოდა, თურმე მარტო მაგან
სამჭერ ჩაყვინთა ტბის სიღრმეში. კიდევ კარგი,
ეს ბიჭები მტკვარზე არიან გაწრდილები და წყალს
პატარაობიდან გაჩვეულები არიან. მაგრამ ეს ჩვენი
ტბა, ხომ იცი, რა შხამიანია ეგ ტილი აბა, ყლაპე
იმისი წყალი დ მერე კარში დადექი...

— უუბ, ეგ რა შიშხარი კაცო?! თქვე უღმერ-
თობო, ვერ-გადახდეთ თამაში?

— განა არ ვეხვეწეთ, მაგრამ თვითონ არა ქნეს...
არაო, გამოდითო, კალენდარს ვერ დავარღვევთო.
გარდა მაგისა, რაღაც ხაჩქარო ხაქმებიც ჰქონიათ.
ბოდა, ჩვენებსაც მეტი რა გზა ჰქონდათ, გავიდნენ,
აბა, გაიგე ახლა ყველაფერი?

— გავიგე, — ჩილაპარაკა ლევანმა და თავისი
ადგილისაკენ გაეშურა.

* * *

დაიწყო მეორე ტიპი. ლევანი ახლა თვალს ვე-
ღარ აშორებდა მცხეთელებს. ანგარიში ერთით ერ-
თი იყო, მაგრამ თანზე თამაშობდნენ და აქ ფრე
არ შეიძლებოდა. ამიტომ თამაშის მეორე ნახევარს
უნდა გადაეწყვიტა ყველაფერი.

ლევანი ისევ მცხეთელებს აკვირდებოდა; დახეთ,
რა ლამაზი ბიჭები ყოფილან, როგორი ვაჟკაცები
არიან, ფიცხნი, მარჯენი... ახლა მათი ყველაფერი
მოსწონდა, ყოველი ნაბიჯი თუ მიმოხვრა, თანაც
როგორი ამაყები ყოფილან! ბრძოლა ბრძოლა,
ბავშვების ამბავი აქ რა მოსატანია, მოდით და ვი-
თამაშოთო!

არა, ესენი არ იკადრებენ, მათ ვინმემ რაიმე რომ
დაუთმოს, მოწყალეობა არც სჭირდებათ და არც
შიილებენ. მასპინძლები უმაღ მიხვდნენ ამას და
თამაში გახურდა, ორივე მხარე გულით ცდილობდა
სასწორი თავისკენ გადაეხარა. მაგრამ მცხეთელებ-
ის უპირატესობა ის იყო, რომ მთელი ხალხი მათ
მხარეს იყო.

ხალხს უნდოდა რაღაც ეხომოვნებინა, რითმე
გახარებინა მცხეთელი ჭაბუკები, და აღარ იცოდ-
ნენ რა ექნათ.

— მცხეთელებო, წინი — ინმოლა გუფუნი სტა-
დიონზე.

თამაშის დამთავრებას ორი წუთი-და აკლდა,
როცა წიფლისწყაროელმა ელგუჭა ალადავიელმა
შორიდან, მოულოდნელად დაარტყა და რომ იტყ-
ვიან, წუხტად ცხრიანში მოახვედრა.

მთელმა სტადიონმა ერთი კაცივით ამოგმინა.

— მოგტყდეს ეგ ფეხი! — ჩამოწყველა ვიღაცამ
თავიანთი სახელოვანი მარცხენა გარემარბი ლევან-
ის წურგს უკან და თვითონ ლევანმაც ხაყვედუ-
რით გააყოლა თვალი ელგუჭას, როგორღაც უხერ-
ხულად რომ მოხრბოდა მოედანზე.

მალე მსაჯის სასტვენმა თამაშის დამთავრება
ამცნო მაყურებლებს. ხალხი ტაშითა და ყიყინით
აცილებდა სტუმრებს. უცებ ბავშვები გამოიჭრნენ
მოედანზე და დამარცხებული გუნდის კაპიტანს
მინდვრის ყვავილების თაიგულები მიართვეს. ირ-
გვლივ კი ისმოდა:

— გაუმარჯოს დამარცხებულს!

— ვაზა, მცხეთელებო!

სტადიონის ჰიშკართან მოხუცი მასწავლებელი
იღგა; მცხეთელებმა რომ გამოიარეს, ყველას სათი-
თაოდ ჩამოართვა ხელი და კაპიტანს უთხრა:

— სახელიც თქვენ უნდა დაიკვებოთ, ბიჭებო!

— ებ, რა სახელი ძია-კაცო! დავმარცხდით, თა-
მაში წავაგეთ! — უთხრა დალონებულმა კაპიტანმა.

— ეგ რა დამარცხებაა, ბიჭო! დამარცხებულები
მამინ იქნებოდით, ხვალე შეიდი ქალი რომ ჩაი-
ცვამდა შავებს...

როცა მცხეთელები ავტობუსში სხდებოდნენ,
ლევანმა იკითხა:

— კაცო, ასეთ სტუმრებს ეგრე უშვებთ?

— ეგრე ვინ გაუშვებს, აბა სცადონ წასვლა! —
დაიძახა ვიღაცამ.

მართლაც შოფერმა მოტორის ჩართვა ვერ მოა-
ხერხა, გაოცებული ჩამოვიდა დაბლა, ახადა კა-
პოტი, მოთავალიერა ყველაფერი, მერე ბენზინის
ავში განიწა და გრძლად დაუსტვინა:

— წედან ავავსე! წვეთი აღარ არის შიგ!
გარშემოხვეულები სიცილით შეხვდნენ მის სიტყ-
ვებს. ყველა მიხვდა, რომ მცხეთელები დღეს აქე-
დან ვეღარ წავიდოდნენ.

გ ა რ ე კ ა ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი დ ა მ ე ო თ ხ ე გ ვ ი რ დ ე ბ ი — საოქტომბრო პლაკატი. მხატვრები — დ ი ნ ა რ ა ნ ო დ ი ა
და თ ე ნ გ ი ზ ს ა მ ს ო ნ ა ძ ე .

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გვიგინიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი,
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოღია. ტექნოლოგიური დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III ხართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. ზღვანის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასახელებად 13/X-67 წ. გამოცე. № 279 ქალ. ზომა 70x108/8. 1,5 ქალ. ფურც. ნახტვი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79
პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 35.700. შეკვ. № 3879 უც 02267


Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



ქართველ მხატვართა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან მარჯვნივ — რუსუდან ჯავრიშვილი, კოკი მახარაძე, ელენე ახვლედიანი, რობერტ სტურუა, მამია ახობაძე, გრიგოლ ჩირინაშვილი, სევერიან მაისაშვილი.

ფოტო თ. არჩვაძისა.



კინორეჟისორი სიკო დოლიძე მუშაობის დროს.

ИНДЕКС 76055

ბრძოლის
გზა-მარშალა



საბრძოლო მარშალა

